გაზეთი ზიერის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№30 (1056) 18 – 19 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სკანდალური დოკუმენტი, რითაც ვლადიმერ პუტინის მიერ კოლუმბიელი ნარკომოვაჭრეების ფულის გათეთრება დასტურდება



გვ. 9

უკრაინის უშიშროების სამსახურის საიდუმლო ანგარიში, ეფესბე-ს დირექტორის, ვიქტორ ივანოვის დოსიე და მოწმე, რომელიც ლიტვინენკოს მკვლელობაში პუტინი-ივანოვის მოტივს ასახელებს

ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვა სპეცრაზმელებს



თქვენ, ჯარისკაცები, ხართ ჩვენი ქვეყნის გამორჩეული მოქალაქეები და ვალდებული ვართ, დაგიცვათ

გვ. 5

რა პრობლემები აქვს ბიზნესს ხელისუფლებასთან

დამოუკიდებელი ექსპერტები ხელისუფლებას საგადასახადო შემოწმების ვადების დაცვას სთხოვენ

გვ. 7

ფულადი გზავნილების აქცია თიბისი ბანკისგან

თიბისი ბანკი TBC BANK

გვ. 6

სკანდალური წერილი პრეზიდენტ მარგველაშვილს

გვ. 3

ბინების გამქირავებლების არაოფიციალური სტატისტიკა

რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება ბინების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლების 5%-იან დაბეგვრას

ფინანსთა სამინისტროს მილიონერი ჩინოვნიკი ბიუჯეტის მილიონებს ფლანგავს

პრემიერმა და შს მინისტრმა საქართველოს შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო გახსნეს და ცენტრის სპეციალურ და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს 10 წლის იუბილე მიულოცეს

გვ. 2

კახა კუკავა ყველა ბრალდებას პასუხობს

გვ. 4

რა კავშირი აქვს ნაციონალებთან, რომელ პარტიებს უწოდებს პრობიძინურს და ვინ მიაჩნია ნომრიან აგენტად კახა კუკავას

ბობოლა და „რიგითი ქურდების“ დაპირისპირება

რატომ გადაეკიდნენ ერთმანეთს ზონაზე, ზახარ კალაშოვის, დაშა შუშანაშვილისა და ცარიელ ონიანის ახლობელი „კაიბიჭები“

გვ. 8

პატიმრის დღიური

ლიბერთი კლუბის აქცია ლიბერთი ბანკის სახელფასო პროგრამაში ჩართული მომხმარებლისთვის – 10 წუთი სასაუბრო დრო საჩუქრად

გვ. 7

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო გახსნეს და ცენტრის სპეციალურ და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს 10 წლის იუბილე მიულოცეს

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ჩამოყალიბების ათი წლის იუბილეს აღნიშვნას დაესწრო. მინისტრმა დაბა ასპინძაში დეპარტამენტის ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფის – სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო გახსნა. შენობის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

საზეიმო ცერემონიას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, შს მინისტრის მოადგილეები, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები, საქართველოს მთავრობის წევრები, ევროკავშირის დიპლომატიური კორპუსის, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს პრემიერ-მინისტრმა და შს მინისტრმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირად შემადგენლობას დაარსების 10 წლისთავი მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა დეპარტამენტის განვითარების განსაკუთრებით ნაყოფიერი და შედეგიანი ბოლო ორი წელი. 2013 წელს ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით საფუძველი ჩაეყარა სამცხე-ჯავახეთში აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას, რაც რეგიონში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის გაუმჯობესებას, ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას შეუწყობს ხელს.

„პირველ რიგში, მინდა, მივულოცო შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს 10 წლისთავი. 10 წლისთავზე გაიხსნა სპეცდანიშნულების ბაზა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არ არსებობდა, არასოდეს ყოფილა. გადაწყვეტილება მივიღეთ 2 წლის წინ, როდესაც ბატონი პრემიერი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი — მაშინ დაიწყო ამ ბაზის მშენებლობა და დასრულდა და ვულოცავ ყველას, ადგილობრივ მოსახლეობასაც! ეს მათი უსაფრთხოების გარანტია... და რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისთვის. იცით, რომ თურქეთის მოსაზღვრე ქვეყანაა, საზღვართან ახლოს არის. და არანაირი დანაყოფი, ხაზს ვუსვამ, სპეცდანიშნულების დანაყოფი არ არსებობდა აქამდე“, — განაცხადა **ვახტანგ გომელაურმა**.

აღინიშნა, რომ 2013 და 2014 წლებში, შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში გატარებული რეფორმების შედეგად, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური სამსახური ჩამოყალიბდა. განხორციელდა მთელი რიგი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები; გაუმჯობესდა პირადი შემადგენლობის სოციალური პირობები; მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება; დანაყოფებში მოწესრიგდა მებრძოლებისა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა კვებით და უნიფორმით უზრუნველყოფის საკითხები; განვითარდა და თანამედროვე საშუალებებით აღიჭურვა დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურები.

ხაზი გაესვა, რომ სწორედ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განვითარდა მნიშვნელოვანწილად განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინფრასტრუქტურა და შეიქმნა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც განმსაზღვრელია დეპარტამენტის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის ნებისმიერ კლიმატურ პირობებსა და რთულ გეოგრაფიულ არეალში. განახლდა და გარემონტდა დეპარტამენტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები, ყაზარმები და მოსასვენებელი ადგილები; დანაყოფები აღიჭურვა საწვრთნელი ხელოვნური ბარიერებითა და სასროლეთით; გაუმჯობესდა როგორც ცხინვალის რეგიონის, ისე აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში განლაგებულ ბლოკ-საგუშაგოებზე არსებული პირობები; განთავსდა სპეციალური კონტეინერების ტიპის შენობები; განხორციელდა საგუშაგოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია; გაიმართა და მოწესრიგდა ჰიდროლოგიური ჭაბურღილები, გაზგაყვანილობის სისტემები და გათბობის ქსელები; განახლდა და შეივსო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ავტოპარკი; შესაბამისი საკომუნიკაციო და მართვის საშუალებებით აღიჭურვა სამეთაურო და სპეციალური დანიშნულების მანქანები, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა მოსამსახურეთა სამუშაო პირობები და უსაფრთხოების კონტროლის ხარისხი; დაინერგა და პერიოდული განგრძობითი ხასიათი მიეცა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის მომზადებისა და გადამზადების სასწავლო კურსებს.

განსაკუთრებით გამოიკვეთა საერთაშორისო პარტნიორული მხარდაჭერის მნიშვნელობაც. აღინიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL), გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI), ევროკავშირის, ნატო-ს, გაერო-ს, ასევე სხვა დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, რომლებიც დანაყოფის სრულფასოვანი და ეფექტიანი ფუნქციონირებისკენ იყო მიმართული.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, ღონისძიების დასასრულს, პატივი მიაგო იმ გმირების ხსოვნას, რომლებმაც სამშობლოს დასაცავად და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის თავი გაწირეს და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პოლიციელებს, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ხაზის მახლობლად განლაგებულ საგუშაგოებზე.

„ვერსიანიუსი“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ყველაზე მეტი დარღვევა საჯარო სექტორში აღმოაჩინა და 3 უწყება დააჯარიმა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

17 მარტს, თბილისის პარლამენტში, იურიდიულმა კომიტეტმა ორ, იურიდიული დახმარების სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშებს მოუსმინა. კომიტეტის სხდომას 5 დეპუტატზე მეტი არც ამჯერად ესწრებოდა, საკითხების კენჭისყრაც საკმაოდ კომიკურად მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა, ბოლო დროს, ყველაზე დიდი ხმაურით სწორედ ე.წ. მოსმენების შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მუშაობის შედეგებით დეპუტატები არ დაინტერესებულან.

თუმცა მანამდე პარლამენტს ანგარიში მელიტონ ბერიძემ, იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსმა ჩააბარა. ამჟამად, საქართველოს მასშტაბით, სულ 11 ბიურო ფუნქციონირებს. ბიუროებში საკონსულტაციო ცენტრებია, თუმცა ადვოკატები იურიდიულ დახმარებაში ფულს რამდენიმე სოციალური ჯგუფისგან, დევნილებისგან, სოციალურად დაუცველებისგან, მრავალშვილიანი ოჯახებისგან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ომის ვეტერანებისგან არ იღებენ. ამ დროისთვის, იურიდიული დახმარების სამსახურში 65-მდე ადვოკატი მუშაობს. 2014 წელს კი სამსახურის ბიუჯეტმა არცთუ ცოტა, 4,5 მილიონი ლარი მიიღო. თუმცა მელიტონ ბერიძის თქმით, ბიუჯეტი ახალი ოფისების გასახსნელად, იურისტების გადასამზადებლად და ადვოკატებისთვის ჰონორარის გადასახდელად არასაკმარისია. ბერიძემ სტატისტიკური მონაცემებიც წარმოადგინა: 2014 წელს სისხლის სამართლის დევნა სულ 210 საქმეზე შეწყდა, აქედან 102 შემთხვევაში იურიდიული დახმარების სამსახურის დამსახურებით, 76 გამამართლებელი განაჩენიდან 22-ს სწორედ ამ სამსახურმა მიაღწია. 2014 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა სულ 10 993 საქმე განიხილა, 17 180 საქმეზე კი კონსულტაცია გასწია. 2015-2019 წლების პრიორიტეტი ამ სამსახურისთვის კადრების გადამზადება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მანდატის გაზრდა აღმოჩნდა. ამ ანგარიშის შემდეგ კი კომიტეტმა, უფრო სწორად, კომიტეტის მხოლოდ 3-მა წევრმა, თამარ ქალდანის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის ანგარიში მოისმინა. ქალდანმა პარლამენტშიც და მედია და არასამთავრობო სექტორთან შეხვედრაზეც აღნიშნა, რომ შარშან სამი საჯარო უწყება დააჯარიმა: საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. მიზეზი კი ასეთი იყო: პროკურატურა და სასჯელაღსრულების სამინისტროები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონოდ გასაჯაროებისთვის 1 000-1 000 ლარით დაჯარიმდნენ, ხოლო შს სამინისტრო გაუფრთხილებლობის გამო, მესამე პირისთვის მონაცემების გამჟღავნებისთვის, 500 ლარით დაჯარიმდა. პროკურატურამ გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა საქმე მოიგო. გარდა საჯარო უწყებებისა, 2014 წლის 1 ნოემბრიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ყველა დებულება კერძო სექტორის მიმართაც ამოქმედდა. თუმცა ფარული მიყურადების კონტროლის ორეტაპიანი, ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა 31 მარტიდან ამოქმედდება, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ის მუხლები შევა ძალაში, რაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლს გულისხმობს. ქალდანის თქმით, მისი აპარატი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს, რათა შესაბამის ცვლილებებს მომზადებული დახვდეს. ხოლო თუკი სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვისა და ვთქვათ, შს სამინისტროს მიერ გადაგზავნილი პარამეტრები (ტელეფონის ნომერი, მოსმენის ვადა და ა.შ.) ერთმანეთს არ დაემთხვევა, მაშინ ქალდანის უწყებას ე.წ. მეორე გასაღების ამოქმედებისა და მოსმენის შეწყეტის უფლება აქვს. ქალდანმა 2014 წელს დაფიქსირებული დარღვევებიც მიმოიხილა და განაცხადა, ყველაზე უარესი მდგომარეობა მაინც საჯარო სექტორშია, რადგან მასზე დაკვირვების საშუალება მთელი წლის განმავლობაში ჰქონდა, კერძო სექტორზე კი — მხოლოდ შარშან 1 ნოემბრიდან. 2014 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის

ინსპექტორმა 13 დაწესებულება შეამოწმა, აქედან 7 საჯარო და 6 კერძო ორგანიზაცია. ჯამში, 2014 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 134 განცხადება მოქალაქეებისგან, 326 კერძო ორგანიზაციისგან, 464 განცხადება კი საჯარო სექტორიდან მიიღო. საკომიტეტო მოსმენამ განსაკუთრებული კითხვებისა და დებატების გარეშე ჩაიარა.

ფინანსთა სამინისტროს მილიონერი ჩინოვნიკი ბიუჯეტის მილიონებს ფლანგავს

ლევან ღვინიაშვილი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო მოხელეს უფლება არ აქვს, ბიზნესსაქმიანობას ეწეოდეს. ამის მიუხედავად, პოლიტიკოსთა უმრავლესობას ბიზნესი მაინც აქვს, თუმცა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, მას მეგობრების სახელზე აფორმებენ და საქმიანობაში ოფიციალურად არ ერევიან. რა ხდება არაოფიციალურად, კაცმა არ იცის, მაგრამ რეალურად, პოლიტიკოსებს ვერ მოედავები. ერთმა კრიმინალმა თქვა, კანონი იმისთვის არის კანონი, რომ დაარღვიოო და როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას არაერთი ჩინოვნიკი იზიარებს.

ასეთი ბიზნესმენ-ჩინოვნიკი ჰყავს დასაქმებული ფინანსთა სამინისტროს თავის მომსახურების სააგენტოში და მეტიც, გელა ხანიშვილი, რომელიც თავად მილიონებს მევახშეობით შოულობს, ბიუჯეტის მილიონებსაც განკარგავს. ამ პერსონით ნამდვილად არ დავინტერესდებოდით, რომ არა ბოლო დროს მედიაში ატეხილი ამბავი — „ქამრების შემოჭერის“ პროცესში 4,7 მილიონად შეძენილი ავტომობილების შესახებ.

გელა ხანიშვილის დეკლარაციას ცალი თვალი რომ გადავლოთ, მიხვდებით, რომ მისთვის ქამრის შემოჭერის თემა უცხოა. იგი ღიად აფიქსირებს, რომ თანამდებობის მიუხედავად, შვიდი კომერციული ფირმის მეწილეა. აქედან, ყველაზე მეტი შემოსავალი „ნოვა კრედიტის“ პარტნიორობიდან აქვს მიღებული და თანხა 4.96 მილიონ ლარს აჭარბებს. აბა, ამ თანხასთან რა მოსატანია, მაგრამ ჩვეულებრივი მოკვდავისთვის საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ ბატონი გიორგი ლ.ბ. ინვესტ ჯგუფის პარტნიორიც არის და წლიურად ამ საქმიანობიდან 400 ათასი ლარი აქვს მიღებული. ახლა, ასი ათას ლარიან ბიზნესებს აღარ ჩამოვთვლი, არ არის ეს საინტერესო ხანიშვილისთვის, ისე აქვს, წვრილმანი ხარჯებისთვის. ახლა მეტყვით, წვრილმანი ხარჯი რაღა არისო და გეტყვით, რომ მაგალითად, მისმა შვილმა შარშან ზღვაზე დასვენებაში რვა ათასი ლარი დახარჯა, ხოლო პარიზის დათვალიერებაში ბატონმა გიორგიმ შვილს ათი ათასი ევრო გადაუხადა. ეს ყველაფერი უცნაური არ იქნებოდა, რომ არა ერთი საინტერესო დეტალი — ბატონი გიორგის მემკვიდრე სულ რაღაც 11 წლის გახლავთ და 11 წლის ბავშვმა ორ კვირაში პარიზში ათი ათასი როგორ უნდა დახარჯოს, თუ ამიხსნის ვინმე, მადლობელი დაგრჩებით. არა, იმავე ორ კვირაში 11 წლის ბავშვისგან რვა ათასი ლარის დახარჯვა არ არის გასაკვირი, სადაც პარიზში ამდენი მოახერხა, ბათუმის ზღვა რას მიქვია, ისეთი ფასებია, პარიზი მიმიქარავს.

ბატონი გიორგი, ჯამში, მიწის ცხრა ნაკვეთს ფლობს. აქედან ერთი თბილისშია, ერთი წავკისში, დანარჩენი კი ქარელის რაიონში. სამაგიეროდ, მთავარი ქონება, 566 კვადრატული ფართობის სახლი თბილისშია და მერე რა, რომ ეს ყველაფერი მთლიანად ხანიშვილის ერთპიროვნული საკუთრებაა, მუშაობს კაცი.

აი, მუშაობა კი მძიმედ დაუწყია — 1977 წელს ფცის საბჭოთა მეურნეობაში მუშა ყოფილა, მერე მცხეთის სარემონტო ორგანიზაციაში ისევ მუშა, მერე უფროსი ეკონომისტი და ამით დაიწყო კარიერული აღმასვლა. 1998-2000 წლებში ხანიშვილი ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახლდათ. იმ დროს მინისტრი დავით ონოფრიშვილი იყო და თუ რამე სკანდალი დაუკავშირდა სამინისტროს, ყველაფერი ხანიშვილის გამოისობით. 2001 წელს მარეგულირებელი საბჭოს თავმჯდომარედ გადავიდა და სანამ ხელისუფლება არ შეიცვალა, თანამდებობაზე იყო. შემდეგ ბიზნესს მიჰყო ხელი და 2006 წლიდან კვლავ თანამდებობაზე გამოჩნდა — საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ მოგვევლინა. შემდეგ „სილქნეტში“ წავიდა და 2010 წელს შექმნა ის, რასაც წლიურად მისთვის ხუთ მილიონამდე შემოსავალი მოაქვს — „ნოვა კრედიტი“, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც დღემდე გახლავთ. თუმცა, საინტერესოა დეკლარაციის ინ ნაწილი, სადაც ხანიშვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან მიღებულ მილიონებს არ ჯერდება და ფულს ხელზეც აქირავებს, მის დეკლარაციაში მსგავსი პუნქტი მრავლადაა.

როგორც ჩანს, ბატონი ხანიშვილი საკუთარ შემოსავლებს კარგად ითვლის და მილიონს მილიონზე ამატებს, თუმცა ის ასეთი ფრთხილი არ არის სახელმწიფო თანხების მიმართ.

მიმდინარე წლის მაისში თბილისი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კონფერენციას უმასპინძლებს. სტუმრების დასახვედრად საქართველომ 4.7 მილიონი ლარის ახალი ავტომობილები შეიძინა და ეს მაშინ, როცა ხელისუფლების უმაღლესი პირები კატეგორიულად ითხოვენ ქამრების შემოჭერას. გასულ წლებში ამ კონფერენციას ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა უმასპინძლეს და მაშინ მათაც კი უარი თქვეს ავტომობილების შეძენაზე სწორედ ფინანსური კრიზისის გამო. მაგალითისთვის, შარშან კონფერენციას პოლონეთმა უმასპინძლა და ავტომობილები უბრალოდ იქირავა.

„სტუმრების მაღალი რანგიდან გამომდინარე, იძულებულნი გავხდით, ეს გადაწყვეტილება მიგვეღო. სულ 85 ავტომობილი გვჭირდებოდა, ჩვენ კი მხოლოდ 67 შევიძინეთ. ქირაობაც არ ჯდებოდა ნაკლები, რადგან საქართველოში ანალოგიური ბიზნესკლასის ავტომობილები უბრალოდ არ არის და ამიტომ, ევროპიდან უნდა ჩამოგვეყვანა, რაც მილიონ ლარზე მეტი დაჯდებოდა“, — ასე ახსნა მიღებული გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე გელა ხანიშვილმა.

ახლა იკითხავთ, ხანიშვილი რა შუაშიაო და თავიდან ჩვენც სწორედ ეგ ვიკითხეთ, თუმცა გაირკვა, რომ აღნიშნულ კონფერენციასთან დაკავშირებით, შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც სწორედ ბატონი გიორგი ხელმძღვანელობს და საკუთარ მოსაზრებებს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. სწორედ ამ ჯგუფმა შესთავაზა ნოდარ ხადურს თითქმის ხუთი მილიონი ლარის გადახდა ახალ მანქანებში. ეს რაც შეეხება 4.7 მილიონად ღირებულ შემოჭერილ ქამარს.

სულ ეს იყო და ბოლოს იმასაც გეტყვით, რას უპირებს მაისში ჩასატარებელი კონფერენციის შემდეგ 67 ავტომობილს ხანიშვილი. მისი აზრით, მანქანები ან ისევ უნდა გავყიდოთ (და ჯამში მილიონით ნაკლების აღება მოგვიწევს), ან სხვადასხვა სამინისტროებზე გადავანაწილოთ. „გლეხურ ენაზე“ ამას ავტოპარკის განახლება ჰქვია რომელიმე სტრუქტურისთვის და ქამრების შემოჭერა თუ ამას გულისხმობს, მაშინ ან ჩვენ არაფერი გვესმის, ან მთავრობა ხანიშვილებით გვეკაიფება.

სკანდალური წერილი პრეზიდენტ მარგველაშვილს

ეკა სეხნიაშვილი

ქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ ახლახან ზარზეიმით წარადგინა თბილისის მერიის ახლაგდამომცხვარი მაღალჩინოსნები. მათ შორის, მოადგილედ ლაშა შანიძე და ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის უფროსად გიორგი გურგენიძე. ეს უკანასკნელი ბოლო ხანს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა, თუმცა მანამდე, 2012 წელს ნაციონალების ბეღლად წოდებული საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი და ეზუგბაიას კადრი იყო.

,,ვერსიასთან“ საუბრისას, რკინიგზის დეპარტამენტის სამსახურში აღდგენილი თანამშრომელი, ელმომარაგების დასავლეთ საქართველოს სამმართველოს დისპეტჩერი ზაალ სტურუა დეტალურად იხსენებს ქალაქის მერიის ახლა უკვე მოქმედი მაღალჩინოსნების ქმედებებს ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის ზეობის ხანაში. ეს კი იმ წერილის ამონარიდია, რომელიც რკინიგზის გამოცდილმა მუშაკმა საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს მისწერა: **„სს საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ყოფილი დირექტორი გიორგი გურგენიძე, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, პოლიტიკური ნიშნით რკინიგზის თანამშრომლებს ათავისუფლებდა სამსახურიდან, დღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ გვევლინება. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმის, რომ ჩვენი არჩეული მთავრობა იმ ხალხს მფარველობს, ვინც ჩვენ გვდევნიდა და გვატერორებდა. კერძოდ, გურგენიძის ბრძანებით მომხსნეს სამსახურიდან 2012 წელს, არავინ იყო დარწმუნებული, წინასწარ ვინ გაიმარჯვებდა არჩევნებში, ამის გამო იძულებული გავხდი, გამეყიდა ბინა და ბანკის ვალი გამესტუმრებინა, დაზარალებული გამოვედი მე და ეს ვაუბატონები დაწინაურებულები, ახლა გამაგებინეთ ვინმემ, ვის მივმართო სამართლის გასარკვევად იმ ქვეყანაში, სადაც შვილის საფლავზე მამა მოკლეს. არის კი ამ ქვეყანაში საერთოდ სამართალი... Fuck you თქვენი კოაბიტაციაც და სამართალიც!!!“**

ზაალ სტურუა: სს „საქართველოს რკინიგზის“ ინფრასტრუქტურის ყოფილი დირექტორი გიორგი გურგენიძე, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდა რკინიგზის თანამშრომლებს, ივანიშვილის მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, ჯერ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ მოგვევლინა, რამდენიმე დღის წინ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად წარადგინა დავით ნარმანიამ. უცნაურია, რომ მერის მოადგილედ მოგვევლინა ასევე რკინიგზელი ლაშა აბაშიძე. ერთიცა და მეორეც სააკაშვილის რეჟიმის ყურმოჭრილი მონა იყო, ეზუგბაიას ხელისბიჭები და ჩვენ, მაშინ, როგორც არანაციონალებს და მათი რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს, გვდევნიდნენ.

სამსახურიდან პირადად ჩემი უკანონო გათავისუფლების ბრძანებას ხელს ეს ვაუბატონი გურგენიძე აწერს, რომელიც ჯერ მარგველაშვილმა შეიფარა საკუთარ ადმინისტრაციაში, ფრთებქვეშ და ახლა, როგორც ჩანს, იქ სათანადოდ დააფასეს და ფულის საჭრელად გაუშვეს მერიაში. 2012 წელს, გურგენიძის ბრძანებით, მომხსნეს სამსახურიდან. იძულებული გავხდი, ბინა გამეყიდა და ბანკის ვალი გამესტუმრებინა... 1995 წლიდან ვმუშაობდი დასავლეთ საქართველოს რკინიგზის ელმომარაგების სამმართველოში, სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლო 12 წელი, ენერგოდისპეტჩერი ვიყავი. 2012 წლის 5 სექტემბერს, სიტყვიერი განკარგულებით, რკინიგზის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის მაშინდელმა დირექტორმა, გიორგი გურგენიძემ, სამსახურიდან დამითხოვა, 19 სექტემბერს კი ოფიციალური ბრძანება დაწერეს. ყველაფრის მიზეზი ჩემი პოლიტიკური შეხედულებები იყო. ბოლო სამი არჩევნების დროს, 2008 წლიდან, უბანში (№1 უბანი) სადაც მე ვიყავი კოორდინატორი, ყოველთვის ოპოზიციამ გაიმარჯვა. ბუნებრივია, სამსახურში, ზემდგომი, „არასაიმედო სუბიექტად“ მთვლიდა, სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა კერელეიშვილმა, რამდენჯერმე „მირჩია“, ნუ აქტიურობო... მოკლედ, გარიგებაზე რომ არ წავედი, 2012 წლის ზაფხულის ბოლოს „შემომთავაზეს“ 4 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით მივლინებით წავსულიყავი გურჯაანში. გამომიწერეს მივლინება, რომელიც იყო არაადეკვატური სისულელე — მე ვასრულებდი დისპეტჩერის მოვალეობას, მივლინება გამოწერილი მქონდა გურჯაანის სამმართველოს ცენტრში საკონტაქტო ქსელისა და წევის ქვესადგურებისა და სექციების სქემების დამუშავება-შედგენის მიზნით. ამ საქმეზე სხვა დროს უშვებდნენ ტექნიკურ პერსონალს და მსგავსი სამუშაო ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა. ეს მივლინება რა მიზანსაც ემსახურებოდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. იმ პერიოდში დედა მყავდა მძიმე მდგომარეობაში, ოპერაცია გაუკეთდა, დავწერე განცხადება და აღვნიშნე, რომ ამ მიზეზით არ შემეძლო გურჯაანში წასვლა. ეს არ გაითვალისწინეს და 19 სექტემბერს სამსახურიდან გამათავისუფლეს. ჩემი განსხვავებული პოზიციის გამო, ჩემს შვილს — ბექას, რომელმაც პოლიციის აკადემიაში, კონკურსში გაიმარჯვა, პოლიციაში მუშაობის დაწყებაზე უარი უთხრეს... როცა გურგენიძე დაინიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატში, ბატონ მარგველაშვილს მივწერე, ვინ იყო რეალურად გურგენიძე, მაგრამ არც პრეზიდენტი გამომეხმაურა. ჩანს, ურჩევნიათ, ისევ ნაცების კადრები დაასაქმონ. ასე მითხრეს, ეს გურგენიძე მთავრობის მეთაურის კურსელიაო. სააკაშვილის მზეს ფიცულობდნენ და ეზუგბაიას დაკვეთების ხელისბიჭები იყვნენ ეს ადამიანები და ახლაც თავისი კადრები არიან რკინიგზის დეპარტამენტში, თან კარგად გრძნობენ თავს ანუ ფულის გათეთრება ახლაც მშვენივრად გამოსდით.

– დავით ნარმანიას არ მიმართეთ, ეს ხალხი რომ ზარზეიმით წარადგინა?

– რა აზრი აქვს. პრეზიდენტს მივმართე და არ გამომხმაურებია. ან რა უნდა ეთქვათ, თავად მფარველობენ. მერიაშიც, როგორც ჩანს, იმიტომ გადაიყვანეს, ვერშემდგარ ნარმანიას ბოლომდე გამოუთხარონ ძირი. სხვა ახსნას ვერ ვუძებნი. მეტი რა დარღვევა გინდათ, თუმცა აღარაფერი მიკვირს — სამტრედიაში შტაბის უფროსად, სააკაშვილის შტაბის ყოფილი უფროსი ავთანდილ თევზაძე დანიშნეს. უბრალოდ, ასეთი მიდგომით ივანიშვილის მთავრობა უფრო დაკარგავს ხალხის ნდობას. იმ ხალხისა, ვინც ეს ხელისუფლება თავისი ზურგით და წლების განმავლობაში ტერორის ატანით მოიყვანა, ამიტომ დროა, გამოფხიზლდეს მთავრობა!

სხვანაირი კაცი

ლევან სეფისკვერაძე

ის სულ სხვანაირი კაცი იყო. ერთი შეხედვით, ვერც კი მიხვდებოდით, სხვანაირი რომ იყო. მუდამ კოხტად და ევროპულად ეცვა და საუბარიც წყნარი და მოზომილი იცოდა, მაგრამ ჭადრაკის სათამაშოდ კლუბში შეევედით თუ არა, თავიდანვე მიეხვდით, რომ ის კაცი არავის ჰგავდა. კლუბში ჭადრაკს მხოლოდ გასართობად არავინ თამაშობდა და ისიც, ჩვენს მსგავსად, ჭადრაკის დაფის გვერდით ფულის კუპიურებს აწყობდა, მაგრამ მის თამაშში ცოდნაც ჩანდა და ისე განსაჯეთ – თავდაჭერაც კი...

ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით, საქართველოში ჩვენ განსაკუთრებით არავის ვუყვარდით. დიდი იმპერიის ჩვენებრ პატარა მოხელეები, აბა, რა სათვალავში ჩასაგდებია, როდესაც თავად ქართველებს სულ დიდ-დიდი გენერლები ჰყავდათ და იმათაც კი არ უყურებდნენ კარგი თვალით.

სანამ თბილისში ჩამოვიდოდით, გაგვაფრთხილეს – ქართველები ცოტა უცნაური ხალხია და მათთან მეგობრობა მაინცა და მაინც არ ღირსო. ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, თავი ცოტა შორს დაგვეჭირა და სამსახურის შემდეგ, ერთადერთი, ჭადრაკის თამაში იყო, როდესაც ამ მართლაც უცნაურ ხალხს შედარებით ახლოს ვეცნობოდით.

ერთ საღამოს, როდესაც ერთ სომეხ ვაჭარს ვეთამაშებოდი და ფიგურების ისეთი წყობა მქონდა, აუცილებლად უნდა მომეგო, ის „სხვანაირი კაცი“ პირველად მაშინ დავინახე კლუბში შემოსული. შემოვიდა თუ არა, თითქოს გენერალი ან ვინმე დიდი ჩინოსანი ყოფილიყო, ყველა ქართველი ფეხზე წამოუდგა. ზოგმა სკამი შესთავაზა, ზოგი კარში მიეგება ხელის ჩამოსართმევად. მე გამიკვირდა, რადგან ქართველებს წესად არ ჰქონდათ ასეთი მისალმება. ასე ამ ქვეყანაში მხოლოდ მღვდლებს თუ ხვდებოდნენ და იმათაც განსაკუთრებულ შემთხვევაში. ჩემდა გასაკვირად, შემოვიდა თუ არა, ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, თავზე დაგვადგა და სანამ პარტნიორს მოძებნიდა, სხვების მსგავსად, ჩვენი თამაშის ცქერა დაიწყო.

ხომ გითხარით უკვე, რომ ფიგურების ძალიან კარგი წყობა მქონდა და ყველა ვფიქრობდით, ჩემი მოგება გარდუვალი იყო. იმან კი, კავკასიურკილონარევი რუსულით მითხრა, რომ თამაში წაგებული მქონდა და უმჯობესი იქნებოდა, ახალი პარტია დაგვეწყო. მახსოვს, ძალიან გამაბრაზა მომხდურის ამ სიტყვებმა და თავი შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი. მით უმეტეს, ყველა ჩემსავით ფიქრობდა. მან კი ჩემი გაბრაზება არაფრად ჩააგდო და ღიმილით მითხრა: „ახალგაზრდები სულ ეგეთები ხართ. სულსწრაფები და პირველობისმდომენი. ეგ არაა ცუდი, მაგრამ ყოველთვის ისე არაა, როგორც გინდათ, იყოს“.

ჩემთვის უცნობი ქართველის ამ სიტყვების შემდეგ, მეც მისი ფარული თაყვანისმცემელი გავხდი. მისი რთულად გამოსათქმელი ქართული გვარი არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ის კი გავიგე, რომ ქართველებში დიდად პატივდებული ვექილი იყო და ზოგიერთი მწერალსაც კი ეძახდა. შემდეგ, როდესაც ამ კაცს სათამაშო კლუბში ვხვდებოდი, სულ მინდოდა, მის ახლოს მეტრიალა. ვუყურებდი მის თამაშს, ვუსმენდი, როგორ არჩევდნენ პარტიებს და საუბრებში ხანდახან პოლიტიკასაც ისე კოხტად გაურევდნენ, მეფის ჭეშმარიტად ერთგული ქვეშევრდომი რომ ვყოფილიყავი, ამ საუბრების შესახებ, მინიმუმ, ჟანდარმერიაში მაინც უნდა განმეცხადებინა. თუმცა, ისიც ვიცოდი, რომ ქართველები ამ ნაბიჯს არასოდეს მაპატიებდნენ.

ერთ დღესაც, ჩვენი კანტორის ტიტულოვან მრჩეველს, გვარად გორბიევს, ჭადრაკში გვარიანი თანხა მოვუგე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან გორბიევს ქართული ღვინო ნამეტანი უყვარდა და სულ მთვრალი თამაშობდა. ჭადრაკის დათქმული ხუთიოვე პარტია ისე ადვილად მოვიგე, მეც კი გამიკვირდა. ბოლოს შემეცოდა ეს გორბიევი და იმაზე შევთანხმდით, რომ ავჭალაში, მტკვრის პირას მდებარე ერთ ჩვენს საყვარელ უბრალო დუქანში, როგორც ქართველები ეძახიან, „ცოცხალი თევზით“ და ღვინით დამშვენებულ სუფრას გაშლიდა და წაგებულს აღარ გავუხსენებდი. გორბიევს ჭკუაში დაუჯდა ეს შეთავაზება და მთელი ღამე იმ დუქანში გავატარეთ.

კარგად მახსოვს, 12 სექტემბრის მზიანი დღე იყო, როდესაც ნამთვრალევი და ღამენათევები დუქნიდან გამოვედით და რის ვაი-ვაგლახით ავძვერით იქვე მდგარ ეტლში. მთავარ გზაზე გამოვედით თუ არა, ვხედავთ მთელი სისწრაფით ჩვენს პირდაპირ კარგი ეტლი მოდის, სადაც ის ჩემი ნაცნობი ქართველი ვექილი და ერთი ქალბატონი სხედან. ვექილმა ალბათ ვერ მიცნო, მე კი სალამი დიდის ამბით მაინც გადავძახე და გული კი დამწყდა, ჩემს სალამს მხოლოდ ხელის ოდნავი აწევით რომ შეხვდა.

ამ დღის შემდეგ, ის უცნაური ვექილი თუ მწერალი აღარასოდეს მინახავს. ამასწინათ, ერთი ქართველი კაცი მეუბნებოდა, გაძარცვის მიზნით, მცხეთასთან ახლოს მოკლესო. ეს, რასაკვირველია, არ დავიჯერე, რადგან ასეთი კაცის ეგრე უბრალოდ სიკვდილი სად გაგონილა?! არ ვიცი რატომ, მაგრამ ბოლო დროს მეც იშვიათად დავდივარ სათამაშო კლუბში. როდესაც კლუბში ათასში ერთხელ შევივლი, სულ ველოდები, როდის შემოაღებს ის კაცი კარს, მაგრამ ჯერ არსად ჩანს. ვითომ მართლა მოკლეს?

კახა კუკავა ყველა ბრალდებას პასუხობს

რა კავშირი აქვს ნაციონალებთან, რომელ პარტიებს უწოდებს პრობიძინურს და ვინ მიაჩნია ნომრიან აგენტად კახა კუკავას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პოლიტიკიდან წასული და დაბრუნებული კახა კუკავა ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა. ლადო სადღობელაშვილთან დაპირისპირების გამო ციხეშიც მოხვდა, ხადურის დევნაში, რამდენიმე აქცია ჩაატარა, ბიძინა ივანიშვილს მთაწმინდაზეც „მიუხტა“, სადაც პროვოკატორად შერაცხული ჟურნალისტი დაზარალდა. ემიჯნება ოპოზიციური პარტიების ნაწილს და მათ „სატელიტებს“ უწოდებს, 21 მარტს დაგეგმილი აქცია ოცნება-ნაციონალების ერთობლივ სპექტაკლად, საქართველოსთვის სომხეთის გზა კი ოპტიმალურად მიაჩნია და ჩვენი კითხვებიც უწინდებურად აღიზიანებს — „ვერსიას“ თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა ესაუბრება.

— თქვენი ბოლოდროინდელი აქციებიდან უექსცესოდ არც ერთს არ ჩაუვლია. ნელ-ნელა დესტრუქციული ოპოზიციის სახეს იღებთ?

— ჩვენი თვითმიზანი აქციები კი არა, ხელისუფლებასთან დიალოგია. ვინც ამაზე უარს იტყვის, საპროტესტო აქციას მიიღებს. ეს ჩვენი არჩევანი არაა, ხელისუფლების პოზიციაზეა დამოკიდებული. ზოგადად, ასე ავტორიტარულ ხელისუფლებას ემართება — საკუთარ თავში იკეტება და ოპოზიციასთან ურთიერთობაზე უარს აცხადებს. თორემ აქციებს, საუბარი გვირჩევნია.

— ეს საუბარი რომ შედგეს, მთავრობას რას ჰკითხავთ?

— კითხვები ეკონომიკურ თემებს შეეხება. ვითხოვთ მათი დაპირებების შესრულებას და ეს ყველაფერი 9 პუნქტად გვაქვს გაწერილი. მაგალითად, მთავარ პროკურორს ვკითხავთ, რეალურად, როდის აღდგება სამართლიანობა, პარლამენტის თავმჯდომარეს საკანონმდებლო ინიციატივებზე ვკითხავთ. ეს კითხვები ჩინოვნიკებს წერილობითაც გადავუგზავნეთ.

— ამ განცხადებებს ვისი სახელით აკეთებთ, მხოლოდ პარტიის, თუ იმ რამდენიმე ლიდერისაც, ვისაც აქციებზე თქვენთან ერთად ვხედავთ?

— მხოლოდ ჩემს პარტიას წარმოვადგენ. ირაკლი ღლონტსა და „რეფორმატორებს“ თავისი გუნდი ჰყავთ.

— აქტიურად სწორედ „რეფორმატორებთან“ თანამშრომლობთ და არსებობს მოსაზრება, რომ ნაციონალების დაკვეთით მოქმედებთ. რა მიზანს ემსახურება ეს ხმები?

— ეს სუს-ის გავრცელებული დეზინფორმაციაა ჩვენს წინააღმდეგ. ბუნებრივია, როცა ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს მართავს, ხელისუფლება შავ პიარსა და კონტრღონისძიებებს მიმართავს. ამაზე განსაკუთრებულად არ ვნერვიულობ.

— ირმა ინაშვილმაც ჩაატარა აქციები და მისთვის არავის უთქვამს, ნაციონალებთან თანამშრომლობო. რატომ თქვენ?

— ინაშვილის აქცია ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული არ ყოფილა, პრინციპში, მხარდამჭერი უფრო იყო. ჩვენი აქციები კი ხელისუფლების საწინააღმდეგოა. ეს ხმები ირაკლი ღლონტთან თანამშრომლობაში ხელს არანაირად არ მიშლის. მეტიც, საზოგადოებას ეს თემები საერთოდ არ აინტერესებს, როცა ქვეყანაში სოციალური კრიზისი და კორუფციაა. დავდივარ თბილისში, რეგიონებში და არც ერთ მოქალაქეს ჩემთვის საყვედური არ უთქვამს, ესა თუ ის ხალხი შენს გვერდით რატომ დგასო.

— არც იმას გეუბნებიან, ხელისუფლების წინააღმდეგ აქციებს რატომ აწყობო?

— მასობრივი განწყობა ისაა, რომ ხალხს „ოცნებაცა“ და ნაციონალებიც ყელში ამოუვიდა. დღეს ყველა ფიქრობს, რომ ორივე ძალა ხელს მათ ხარჯზე ითბობს, ამიტომ ისინი ქვეყნის სათავეს უნდა ჩამოცილდნენ. ის დრო წავიდა, როცა ხალხი აჟიტირებული იყო და „ოცნებას“ მხარს უსიტყვოდ უჭერდა. ასე რომ, ჩემს მიმართ ხალხს ეს კითხვები არ აქვს. ეს მათთვის ძალიან უმნიშვნელო, ტექნიკური საკითხია. ახლა გურჯაანში გლეხი საქონელს რომ დააბინავებს, მეეჭვება, მერე იმაზე ფიქრობდეს, კუკავა ღლონტთან გაერთიანდება თუ არა. კოალიციაში ვისთან ერთად ვიქნები, ვინ იქნება ჩემი გუნდის წევრი და ვინ რას აკეთებდა 5 და 10 წლის წინ, ეს სპეცსამსახურების ინტერესის თემაა.

— მართალია, თუმცა ხალხის განწყობა ბოლოს საარჩევნო ყუთებთან მაინც გამოიხატება. ფაქტია, რამდენი პარტიაც აქტიურობს, ყველა ერთმანეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, თქვენც სადღობელაშვილის გამო დაგიჭირეს. ეს ნორმალური პოლიტიკური პროცესია?

— ამის შესახებ ხალხი არც საარჩევნო ყუთებთან ფიქრობს. ყველას ის აინტერესებს, ხელისუფლებაში კონკრეტული გუნდის მოსვლა მას რას მოუტანს. სიმართლე გითხრათ, მეც კი არ მაინტერესებს ეს ყველაფერი. აი, ვინ არის ლადო სადღობელაშვილი? მის გამო არავის დაუჭერივარ, ივანიშვილის გამო დამიჭირეს და ამისთვის სადღობელაშვილის გამოიყენებენ თუ სხვა ნომრიან აგენტს, ტექნიკური საკითხია. ხალხი ხედავს, რომ ქვეყანაში კრიზისია, ამას აპროტესტებს ჩემი პარტია და მერე ამ პარტიას ექმნება პრობლემები. ლოგიკა ნათელია.

— ისიც ტექნიკური დამთხვევაა, რომ სადღობელაშვილს ნაციონალების ლიდერებმაც ნომრიანი აგენტი ეძახეს და ფარული ჩანაწერი დაუდეს ერთ-ერთი უწყების თანამშრომელთან?

— მე და თქვენ ინტერვიუები აქამდეც გვქონია და მაშინ მეკითხებოდით, თქვენი და პუტინის მოსაზრებები რატომ ემთხვევა ერთმანეთსო.

— რაკი თავად ახსენეთ, ეს კითხვა დღესაც მაქვს, მით უმეტეს, ახლახან, მმართველ კოალიციაში მთავარი თემა სწორედ ქვეყნის საგარეო კურსზე აზრთა სხვადასხვაობა იყო.

— „ოცნებასა“ და ნაციონალებს საგარეო პოლიტიკა არც აქამდე ჰქონიათ და არც ახლა აქვთ. მარტო ის აინტერესებთ, ჯიბე როგორ გაისქელონ. დღეს ჯიბის გასქელებას დასავლეთთან ურთიერთობით ცდილობენ. თუმცა იგივე ადამიანებმა საქართველოს დსთ-ში შესვლას მისცეს ხმა და, თუ ჯიბის გასასქელებლად რუსეთის ჯარის შემოყვანა კვლავ დასჭირდებათ, უკან არ დაიხევენ. ჩვენი აზრით, საქართველომ ყველასთან ინტენსიური დიალოგი უნდა აწარმოოს და ამერიკისა და რუსეთის ხელში იარაღად არ უნდა იქცეს. თუმცა ეს კლასიკური, იურიდიული გაგებით, ნეიტრალიტეტს არ ნიშნავს. მაგალითად, ასეთი კურსი სომხეთსა და ფინეთს აქვთ.

— სომხეთს უწოდებთ ნეიტრალურს და ეს მაგალითი ჩვენი ქვეყნისთვის კარგ მოდელად მიგაჩნიათ?

— სომხეთმა მოახერხა ის, რომ ტერიტორიები არ დაკარგა. ჩვენი პოლიტიკა კი ისეთი უნდა იყოს, რომ რაც დაკარგული გვაქვს, დავიბრუნოთ. რაც შეეხება დამთხვევას ჩემსა და ნაციონალებს შორის, თუ ადამიანების მოსაზრებები ემთხვევა, იმას არ ნიშნავს, რომ თანამოაზრეები არიან. ნაციონალები ხან ტყუილს ამბობენ, ხან სიმართლეს. ყველაფერზე ვერ გამოვვარდებით და თუ სიმართლეს ამბობენ, საპირისპირო პოზიციას ჯიბრზე ვერ დავიჭერთ. ამ საკითხზე საუბარი აღარ მინდა, იქნებ, ინტერვიუ დავასრულოთ!

— ვერ დავასრულებთ — ყოფილი პარტნიორები, თუნდაც, ჯონდი ბაღათურია გიპირისპირდებათ. იქმნება ვითარება, რომ 10 პარტია საარჩევნო ცვლილებებზე კონსტრუქციულად მუშაობს, კუკავა კი ქუჩის აქციებს ატარებს. არ ფიქრობთ, რომ დანარჩენი ოპოზიციისგან გამიჯნული ხართ?

— საქმე ისაა, რომ არის პროსამთავრობო თუ „პრობიძინისტური“ ოპოზიცია, ვართ ჩვენ, ანუ „ანტიმიშა“ და „ანტიბიძინა“ და არის კიდევ ერთი ნაწილი, რომელსაც ადრე მიშა მოსწონდა და დღეს ბიძინა მოსწონს. ვისაც ბიძინა და ჯონდი ბაღათურია მოსწონს, ხმა მათ მისცეს. ვინც ფიქრობს, რომ ქვეყანას ვიღაც მესამე სჭირდება, მათთვის „თავისუფალი საქართველო“ იქნება მისაღები.

— „მესამე“ რატომ ხართ — არიან ინაშვილი, ბურჯანაძე, თუმცა ისინი ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ და ხელისუფლებასთან დაახლოებულად მოიაზრებიან.

— მესამეობის პრეტენზია მეც მაქვს და კიდევ ბევრს სხვასაც. ვისი პრეტენზიაც უფრო დასაბუთებული იქნება, ხალხიც მას აირჩევს. ვადამდელ არჩევნებს მხარს არ ვუჭერ, რადგან არსებული კოდექსით მისი ჩატარება განახლებას არ მოიტანს. პირიქით, იმავე გუნდს არსებობას კიდევ 4 წლით გაუხანგრძლივებს.

— მაშინ კოდექსის ცვლილებაზე ინტერპარტიულ ჯგუფთან ერთად რატომ არ მუშაობთ, როცა ის ერთადერთი ძალაა, ვისაც აქვს დიალოგი უსუფაშვილთან, პრეზიდენტსა და სხვებთან. დიალოგის მოთხოვნით არ დგახართ ქუჩაში?

— არანაირად არ ვარ ჩართული ამ ჯგუფის მუშაობაში. ჩვენ რეალურ დიალოგს პირდაპირ ხელისუფლებასთან ვთხოვთ და არა კულუარულ მოლაპარაკებებს მთავრობასთან. ჩემთვის მიუღებელია სატელიტური ოპოზიციის სტატუსი და ამ ფორმატში ამიტომ არ ვმონაწილეობ.

— და რაში ჩანს მათი სატელიტობა, რა მიიღეს ხელისუფლებისგან?

— ამას ყველაზე ვერ გეტყვით, მაგრამ მათ შორის ნამდვილად არიან პარტიები, ვინც ივანიშვილსა და მთავრობას არ უპირისპირდებიან. ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებას არ უპირისპირდება, ოპოზიცია არ არის.

— მაშინ ის მითხარით, რომელი პარტიებია თქვენთვის მისაღები?

— ბოლოდროინდელი რეპრესიების მერე სოლიდარობა „ახლებმა“, „რეფორმატორებმა“, ლეიბორისტებმა, გოჩა ჯოჯუას ქრისტიან-დემოკრატებმა, კონსტანტინე გამსახურდიას პარტიამ გამოგვიცხადა და ამ ძალებთან თანამშრომლობას მომავალშიც ვაპირებთ.

— 21 მარტის წინ რაიმე კონტრაქცია თუ გაქვთ დაგეგმილი?

— არავითარ კონტრაქციებს არ ვგეგმავთ. საერთოდ, ვფიქრობ, ეს „ოცნებისა“ და ნაციონალების ერთობლივი სპექტაკლია. ამით ცდილობენ, ხალხს თავს მოახვიონ, თითქოს ქვეყანაში მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალაა, მესამე კი არ არსებობს. ეს იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რასაც ივანიშვილმა, თავის დროზე, „შუისგაკრეფა“ უწოდა.

ბინების გამქირავებლების არაოფიციალური სტატისტიკა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საცხოვრებელი ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება. საქართველოს მთავრობის ამ ინიციატივის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: „ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება. ვფიქრობ, ეს ინიციატივა საინტერესო იქნება საცხოვრებელი ბინების გამქირავებელი ფიზიკური პირებისთვის". სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები და ეკონომიკის ექსპერტები, მთავრობის ამ ინიციატივას პოზიტიურად აფასებენ. აცხადებენ, რომ სამშენებლო ბიზნესი გამოცოცხლდება და ოფიციალური სტატისტიკა შეიქმნება. რაც მთავარია, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გარკვეული კაპიტალი გააჩნიათ, ამ ინიციატივით შანსი ეძლევათ, კაპიტალი უძრავ ქონებაში ინვესტიციის სახით დააბანდონ.

რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება ბინების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლების 5%-იან დაბეგვრას

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ემზარ ჯგერენაია** „ვერსიასთან" საუბრისას აცხადებს, რომ სამშენებლო ბიზნესის მხარდასაჭერად, მთავრობის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია. მისი თქმით, ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის 5%-ით დაბეგვრა კარგი ინიციატივაა, რადგან ამიერიდან, ფიზიკური პირები ბინებს მხოლოდ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად კი არა, იმისთვისაც შეიძენენ, რომ სამომავლოდ, ეს ბინები გააქირაონ, რაც ერთგვარი კომერციაა: **„მთავრობის ეს ინიციატივა, გარკვეულწილად, ინვესტიციაა. მეტიც, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ბინების გაქირავება სურთ, ალტერნატივის საშუალება ეძლევათ — კომერციულ ბანკებში დააბანდონ ფული, თუ კაპიტალმარკეტში ჩადონ, ბინა აიშენონ, გააქირაონ და გაცილებით მეტი შემოსავალი მიიღონ, რადგან საშემოსავლო გადასახადის სახით, 20%-ის ნაცვლად, მხოლოდ 5%-ს გადაიხდიან. ეს მისასალმებელი ნაბიჯია, ოღონდ მთავრობის ამ ინიციატივას დასრულება სჭირდება. ამ მიმართულებით, მთავრობამ „იაფი ფული", ანუ ხელმისაწვდომი და დაბალპროცენტიანი კრედიტი უნდა გააჩინოს, რათა ადამიანმა ასეთი ბინების მშენებლობაზე ადვილად აიღოს კრედიტი. თუ „იაფი ფული" გაჩნდება, პრემიერ-მინისტრის ამ მართლაც კარგ ინიციატივას, საკმაოდ სერიოზული ეფექტი მოჰყვება, როგორც დასაქმების, ასევე — შემოსავლებისა და ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისითაც. შესაძლოა, ვიღაცამ ისიც გვითხრას, რომ თქვენ პატარა ბუშტს ხომ არ ბერავთო. თუმცა რატომაც არა, დიახ, პატარა ბუშტს ვბერავთ, ანუ ეკონომიკის პროვოცირებას ვახდენთ, რადგან პატარა ბუშტის გარეშე, ვერც ჩვენ, ვერც აშშ და ვერც ევროპა, ვერაფერს გავაკეთებთ".**

მისივე თქმით, საერთაშორისო მეგობრებთან ერთად, საქართველო „თავის მოტყუების" პოლიტიკის გზას ადგას, როდესაც გვესმის ლოზუნგი, რომ ქვეყანაში მაღალი ტექნოლოგიები, ანუ HI-TEC უნდა დაინერგოს. ემზარ ჯგერენაიას განმარტებით, საქართველომ HI-TEC-ის მიმართულებით რაღაც რომც გამოიგონოს, ეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ვერ მოახდენს: **„იმ ადამიანს, ვინც ამას გამოიგონებს, მეორე დღესვე, დასავლეთის წამყვან ქვეყნებში წაიაცუნცულებენ. მოდით, გულწრფელები ვიყოთ, საქართველო მაღალი ტექნოლოგიების ბაზარს ვერ მოიპოვებს, ანუ HI-TEC-ის ბაზარზე ფეხს არავინ მოგვაკიდებინებს! ვერც „სამსუნგს" გამოვუშვებთ და ვერც „ეფლს", რადგან ამ ბიზნესს არც ამერიკა დათმობს და არც ევროპის წამყვანი ქვეყნები! ამ ბაზარზე ომია, რადგან ხვალინდელი დღე თვითმფრინავების მშენებლობაში კი არა, სწორედ HI-TEC-შია და აქ საქართველოს ადგილი არ არის! ახლა სულ სხვა საბაზრო ვითარებაა, რადგან თუ ადრე დეფიციტური საქონელი გქონდათ, მაგარი იყავით, დღეს კი მთავარი მოხმარებაა. ქვეყნის ბატონ-პატრონი, სწორედ მომხმარებლის მაკონტროლებელი ადამიანია და მომხმარებლის კონტროლს საქართველოს ხელში არავინ ჩაუგდებს. ამიტომ ილუზიებით კი არ უნდა ვიკვებოთ, ის უნდა გავაკეთოთ, რაც ახლა გადაგვარჩენს, რაც ეკონომიკას წაადგება და რაც ქვეყანას განავითარებს. მთავრობის ეს ინიციატივა ამიტომაცაა ასე მნიშვნელოვანი".**

მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე, **ირაკლი როსტომაშვილი** „ვერსიასთან" საუბრისას აცხადებს, რომ მთავრობის ეს ინიციატივა დამატებითი მოტივია იმ პირებისთვის, რომლებსაც ბინების გაქირავება სურთ. მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს ბინას იმიტომ აქირავებს, რომ ამით დამატებითი შემოსავალი მიიღოს, სამწუხაროდ, ბინების გაქირავებას მოსახლეობა ბიზნესად ჯერ ვერ აღიქვამს: **„ჩემთვის, როგორც სამშენებლო სფეროს წარმომადგენლისთვის, მთავრობის ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია, რადგან ჩნდება შანსი, ბინების გაქირავება ბიზნესად ჩაითვალოს. მსახიობებს, მუსიკოსებს, მეცნიერებსა და საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს, რომლებიც დიდ ჰონორარს იღებენ, ამ ინიციატივით შანსი უჩნდებათ, რომ მათივე ჰონორარით ბინები შეიძინონ, ანუ კაპიტალი უძრავ ქონებაში დააბანდონ და ეს ბინები გააქირაონ. როდესაც ბინის გაქირავების გამო, ადამიანი 20%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდიდა, ამ ტიპის ბიზნესს აზრი არ ჰქონდა, რადგან კომერციულ ბანკში ფულის დაბანდება გაცილებით მომგებიანი იყო, ვიდრე ამ ფულის უძრავ ქონებაში ჩადება. რეალურად, უძრავი ქონება ერთ-ერთი მომგებიანი, პერსპექტიული და საკმაოდ პროდუქტიული ბიზნესია, რასაც სხვა დარგების განვითარებაც მოჰყვება. მაგალითად, ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, რომ ახალ ბინაში ახალი ავეჯი, ჭურჭელი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები შეიძინოს".**

თუ პირობითად, ადრე 10 000 აშშ დოლარი გქონდათ, ახალ ბინას კი არ იყიდდით, ბანკში ჩადებდით, რადგან ამით წელიწადში, დაახლოებით, 6 000 აშშ დოლარს მოიგებდით. იმ შემთხვევაში, თუ პირობითად, 10 000-დოლარიან ბინას, თვეში საშუალოდ, 600 დოლარად გააქირავებდით, 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის სახით, 120 დოლარი უნდა გადაგეხადათ, ხელზე კი მხოლოდ 480 დოლარი დაგრჩებოდათ. თუკი ბინების გაქირავებიდან, საშემოსავლო გადასახადის სახით, მოსახლეობა 20%-ის ნაცვლად, 5%-ს გადაიხდის, გამოდის, რომ პირობითად, 10 000-დოლარიანი ბინის თვეში 600 დოლარად გაქირავების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადის სახით, 120 დოლარის ნაცვლად, მხოლოდ 30 დოლარის გადახდა მოუწევს და გამქირავებელს ხელზე 570 დოლარი დარჩება. **ირაკლი როსტომაშვილის** განცხადებით, ამ შემთხვევაში, უძრავ ქონებაში კაპიტალის დაბანდება მომგებიანი ხდება და ბინის გამქირავებელსაც გაუჩნდება სურვილი, რომ საშემოსავლო გადასახადი გადაიხადოს: **„სამწუხაროდ, უძრავი ქონების გაქირავების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, რამდენი ორგანიზაციაა დაკავებული ბინების გაქირავებით, რა კატეგორიის ბინებს აქირავებენ, ან რა ფასად. ფიზიკურ პირების მონაცემები კი საერთოდ აღურიცხავთ. არაოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით, 40 000-მდე ფიზიკურ პირს აქვს ბინა გაქირავებული, მაგრამ ეს ზუსტი სტატისტიკა არ არის. იმდენად დიდი იყო საშემოსავლო გადასახადი ბინების გაქირავებიდან, რომ ფიზიკური პირები იძულებულები იყვნენ, სახელმწიფოსგან ჩუმად გაექირავებინათ ბინები, რათა გადასახადი არ გადაეხადათ. 5%-იან საშემოსავლო გადასახადს კი ყველა გადაიხდის, შესაბამისად, სააშკარაოზე გამოვა ინფორმაცია, ვინ აქირავებს ბინას, რა კატეგორიის ბინებს აქირავებენ და რა ფასად".**

მისივე თქმით, მთავრობის ახალი ინიციატივა უძრავი ქონების ბაზარსაც გამოაცოცხლებს და ფიზიკურ პირებს უძრავ ქონებაში ინვესტიციის ჩადების საშუალებასაც მისცემს. **ირაკლი როსტომაშვილი: „ინვესტორი მხოლოდ მდიდარი უცხოელი, ან საერთაშორისო კომპანია ხომ არ არის? ინვესტორია ყველა, ვინც ეკონომიკაში ფულს დებს, მთავრობის ამ ინიციატივით კი, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გარკვეული კაპიტალი აქვთ, საშუალება ეძლევათ, სწორედ ეკონომიკაში, ამ შემთხვევაში, უძრავ ქონებაში დააბანდონ ეს თანხა".**

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვა სპეცრაზმელებს

თქვენ, ჯარისკაცები, ხართ ჩვენი ქვეყნის გამორჩეული მოქალაქეები და ვალდებულნი ვართ, დაგიცვათ

სამცხე ჯავახეთში განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ახალი შენობა გაიხსნა. გახსნას საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური ესწრებოდნენ. პოლიციელებს სიტყვით პრემიერმა მიმართა: **„უსამართლობაა, დასაჯო სპეცრაზმელი იმისთვის, რომ მან რაღაც დავალება შეასრულა. თუ თქვენი ხელმძღვანელი გაძლევთ უკანონო დავალებას, სწორედ ის უნდა იყოს პასუხისმგებელი. თქვენ 24 საათის განმავლობაში დგახართ ჩვენი სახელმწიფოს სადარაჯოზე და მე ამისთვის მადლობას გიხდით, როგორც მთავრობის მეთაური და როგორც რიგითი მოქალაქე. თქვენ გაქვთ განსაკუთრებული სამსახური და ამას ხელისუფლების მხრიდან სათანადო დაფასება სჭირდება".**

ეს განცხადება პასუხი იყო მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ყოფილ მაღალჩინოსნებთან ერთად, ის სპეცრაზმელებიც უნდა გასამართლდნენ, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების პირებისგან მიღებულ დავალებებს ასრულებდნენ.

„თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის გმირები, რადგან ტყვიაზე მიდიხართ და საკუთარ სიცოცხლეს წირავთ ჩვენი მოქალაქეებისთვის. უსამართლობაა, დასაჯო სპეცრაზმელი იმისთვის, რომ მან რაღაც ღონისძიება შეასრულა. თქვენ ხშირად არ გაქვთ ინფორმაცია, რა დავალებას ასრულებთ და პასუხისმგებელია ის ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ გაძლევთ ამა თუ იმ დავალებას. ვისურვებდი, უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს ყველამ, როდესაც საქმე ეხება განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს, სპეცრაზმელებთან ურთიერთობას, ვინაიდან თქვენ, ჯარისკაცები, ხართ ჩვენი ქვეყნის გამორჩეული მოქალაქეები და ვალდებულნი ვართ, დაგიცვათ", — ესეც პრემიერის სიტყვებია.

სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ახალი შენობა გაიხსნა

არაერთხელ უთქვამთ, რომ სამცხე-ჯავახეთი ვანო მერაბიშვილის სანათესაოს სათარეშოდ იყო ქცეული, თუმცა ამის დადასტურებას ოფიციალურ დონეზე ვერავინ ბედავდა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, მოსახლეობამ შიშის სინდრომი ნელ-ნელა დაძლია და ხმამაღლა საუბარიც შესაძლებელი გახდა.

სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ახალი შენობა გაიხსნა. შენობა შსს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ერთობლივად გახსნეს. აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი ტიპის შენობა რეგიონში პირველია.

„ვანო მერაბიშვილის მამას უნდოდა ამ შენობის, ამ ტერიტორიის 1 ლარად შესყიდვა და ვეღარ მოასწრეს იმიტომ, რომ ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში. მათ სურდათ სასტუმროს გაკეთება. ჩვენ გავაკეთეთ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმე, რადგან ამ რეგიონში სპეცრაზმი წარმოდგენილი არ იყო. მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რათა რეგიონის თითოეულმა მცხოვრებმა თავი მეტად დაცულად იგრძნოს", — განაცხადა პრემიერმა.

„ვერსიანიუსი"

ბობოლა და „რიგითი ქურდების“ დაპირისპირება

რატომ გადაეკიდნენ ერთმანეთს ზონაზე, ზახარ კალაშოვის, ლაშა შუშანაშვილისა და ტარიელ ონიანის ახლობელი „კაიბიჭები“

პატიმარი №0578

იმის მიუხედავად, რომ ქურდს ეროვნება არ აქვს და ყველა ქურდი თანასწორია, რეალობა სხვაგვარია. ქურდები გავლენის მიხედვით იყოფა. სწორედ ამიტომ, მაგალითად ზახარ კალაშოვი, ლაშა შუშანაშვილი და ტარიელ ონიანი სხვა კატეგორიაში გადიან, „რიგითი ქურდები“ კი სხვა წონაში ჭიდაობენ. ზოგადად, ტერმინი „რიგითი ქურდი“ დაუწერელი კანონების მიხედვით არ არსებობს, მაგრამ რეალურად, ყველამ იცის, ვის რისი ერთი ადგილი აქვს.

„კაიბიჭები“ ცდილობენ, სწორედ გავლენიან ქურდებთან იქონიონ კავშირი და შესაბამისად, თანატოლებში მეტი გავლენა ჰქონდეთ. ეს, რიგ შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორია და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ძირითადად, სწორედ გავლენიანი ქურდების მეგობრები არიან მაყურებლები თუ „პალაჟენცები“. ყველაზე საინტერესო კი ის არის, თუ რომელიმე ქურდი, მაგალითად საბერძნეთში ან ესპანეთში ერთმანეთს დაუპირისპირდა, დაპირისპირება საქართველოშიც ხდება, ოღონდ უფრო დაბალ დონეზე და მათთან დაახლოებული „კაიბიჭები“ ერთმანეთს არ ინდობენ.

რუსთავის №17 ზონაზე „კაი ბიჭები“ თითქოს მეგობრობდნენ, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ და მათ შორის უცხო თვალი სხვაობას ვერ შეამჩნევდა. მიუხედავად ამისა, ვინც შიდასამზარეულოს იცნობდა, ისიც იცოდა, რომ რუსთაველი მელიქა, თბილისელი გიო და ლოტკინელი ჯემო გამორჩეულები იყვნენ. მელიქა შუშანაშვილის ახლობელი იყო, სვანი გიო ტარიელ ონიანს ენათესავებოდა, ხოლო იეზიდი ჯემო კალაშოვის დეიდაშვილის შვილი იყო. ეს მთელმა ზონამ იცოდა და ისინიც ისე ამაყად დადიოდნენ, გეგონებოდა, საახლობლო თუ სანათესაო აკადემიკოსები ჰყავდა.

როცა საზღვარგარეთ მყოფ ქურდებს შორის ვითარება დაიძაბა, ონიანი და კალაშოვი სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდნენ, შუშანაშვილს თავი გასჭირვებოდა და ურთიერთობა ზონაზეც დაიძაბა. ჯემო და გიო ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. ცხადი იყო, მათი ფარული ომი ერთ დღეს ღია დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა. არადა, ისინი ერთ საკანში ცხოვრობდნენ, რაც ნიშნავდა, რომ მიზეზის მონახვა არ უნდა გასჭირვებოდათ. არადა, ორივე იმდენად კორექტულად და დაკვირვებულად საუბრობდა, ერთმანეთს წამოკიდების საბაბს არ აძლევდნენ, თუმცა...

ერთ დღეს ჯემომ რაღაც ძველი ამბავი გაიხსენა და პატიმარ №0578-ს უყვებოდა, ასე და ასე იყოო. გიო და რამდენიმე პატიმარი ჯემოს მშვიდად უსმენდნენ, №0578 კი კითხვებს უსვამდა. ბოლოს ჯემომ უთხრა: „აი, მაგალითად, მე რომ შენ დედა შეგაგინო და...“

ეს „და“ აღარ დასცალდა, მოულოდნელად გიომ იფეთქა: „შენ დედა ვის უნდა შეაგინო, ეს ჩვენი ძმაა, რას უსრულებ ახლა, კაიბიჭი რომ არ არის და ტერმინებში ვერ ერკვევა, მაგიტომ ეუბნები?!“

პატიმარი №0578 გაშრა. ჯემომ გაოცებისგან პირი დააღო, თუმცა შეეტყო, რომ გიოს შემოტევამ დააფრთხო. ვითარების განმუხტვა ისევ №0578-მა სცადა.

„გიო, ამბავს ყვებოდა, გინებას არ აპირებდა, არ არის სახიპიშო“, — რაც შეიძლება მშვიდად უთხრა ბავშვობის მეგობარს.

„შენ არ იცი და ნუ მასწავლი, რა არის სახიპიშო და რა არა. მე შენ გეკითხები, ჯემო, რას ნიშნავს, დედა რომ შეგაგინო, ახსენი და თუ არ ამიხსნი, მოგთხოვ“, — არ გაჩერდა გიო.

„გაჩერდი ერთი წამით, ძმა და მომისმინე“, — დაიწყო ჯემომ, მაგრამ ვეღარ დაამთავრა.

„რაა?! შენ ვის აჩერებ, ბიჭო, ვის უთხარი, გაჩერდიო?!“ — იღრიალა გიომ და ჯემოს სახეში გაარტყა.

ის, რომ კაიბიჭებში სიტყვა „გაჩერდი“ წითელი ნაჭერივით იყო, №0578-მაც იცოდა. ჯემოს ნერვიულობის ნიადაგზე წამოსცდა ეს და გიომაც არ აპატია. ჯემოს ხელი არ შეუბრუნებია, მტყუანი იყო და იმიტომ. გიომ მეორედ მოიქნია, ვის აჩერებო, იღრიალა კიდევ ერთხელ და მაშინ, როცა ყველა ფიქრობდა, ეს ამბავი ცუდად დასრულდებაო, ბიჭებს შორის პატიმარი №0578 ჩადგა: „გიო, მომისმინე... ათ წუთში ზონა იკეტება, ხვალ გავაგრძელოთ ეს თემა, სწორად გამიგე, ჩემს გამო დაიწყო და არ მინდა, უჩემოდ გაგრძელდეს. შენ და ჯემო საკამერნიკები ხართ, მაგრამ იქნებ დილისთვის გადავდოთ“.

„რა გადავდო, რა მინდა ამასთან ერთად კამერაში?“ — ისევ იყვირა გიომ, №0578 გვერდით გაწია და ჯემოს მესამედ შემოარტყა.

„საკმარისია. ხვალ გავაგრძელოთ ბაზარი, მთელი ბლატატა შევკრიბოთ“, — თქვა ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა და ზონის დაკეტვა რუპორით გამოაცხადეს. მეორე დღის გათენებას მთელი ზონა ელოდა. 12 საათზე სხადნიაკი იყო დანიშნული და ერთადერთი, ვისაც იქ დასწრება არ ეკუთვნოდა კაიბიჭის სტატუსის არქონის გამო და ესწრებოდა, პატიმარი №0578 იყო. ყველამ იცოდა, სწორედ მასთან საუბარს მოჰყვა გიოსა და ჯემოს დაპირისპირება. ოცკაციან საკანში ოთხმოცამდე კაიბიჭი შეიკრიბა, ნემსის ჩასავარდნი ადგილი არსად იყო, კართან რამდენიმე კაცი მორიგეობდა და რადგან ხელმძღვანელობამაც იცოდა, რომ შეიძლებოდა, რაღაც მომხდარიყო, ბადრაგი ზონის შემოსასვლელ კართან იდგა. თავად კაიბიჭები რამდენიმე ნაწილად იყვნენ დაყოფილი — ზოგს ჯემოს მხარე ეკავა, ზოგსაც ონიანის, ხოლო ნაწილი მელიქას გვერდით შეკრებილიყო. არავინ იცოდა, ვის მხარეს დაიჭერდა შუშანაშვილის ახლობელი და ამას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონოდა. რეალურად, მელიქა ჯემოსთან უფრო მეგობრობდა, მაგრამ ყველამ იცოდა, ამ შემთხვევაში ჯემოს თავისმართლება გაუჭირდებოდა და ამიტომ, მელიქა მოვლენების განვითარებას ელოდა.

„არ მაინტერესებს, რაზე დავიწყეთ ბაზარი, მაგრამ ჯემომ მითხრა, გაჩერდი და მომისმინეო. ვის აქვს უფლება, ქურდების გარდა, კაიბიჭი გააჩეროს საუბრის დროს? ამას მხოლოდ ნაბოზვრები აკეთებენ“, — ხმამაღლა თქვა გიომ და ის, რასაც ყველა ფიქრობდა, ცხადი გახდა — გიო ჯემოს პირველ თემაზე კი არა, მეორეზე უფრო ედავებოდა, რადგან მეორის ახსნა თითქოს შეუძლებელი იყო.

„მე, როგორც ძმას, ისე გითხარი, გაჩერდი-მეთქი. შენ იცი, რომ ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და მე არ მეშლება მასეთები, თუმცა ამ შემთხვევაში შენ ეს სიტყვა დაიჭირე და მაწვები. ძმობაში გითხარი და ეს შენც იცი“, — ჩუმად თქვა ჯემომ.

„ძმობაში მაჩერებდი? გესმის, რას მეუბნები? შეცდომას შეცდომაზე უშვებ, ძმა ხარო, მიმტკიცებ და გამაჩერე, გამაჩუმე... არა, კი არ გამაჩუმე, დააპირე და ამაზე გთხოვ პასუხს“,— ისევ ხმამაღლა თქვა გიომ.

„ჯემომ თავი დახარა, მელიქამ ნერვიულად მოქაჩა სიგარეტი და სწორედ მაშინ, როცა გიოს უნდა ეთქვა, დადექი და მისაღები მიიღეო, №0578-მა გამოაცხადა: „წესითა და რიგით, მე აქ არ უნდა ვიყო, რადგან პატიოსანი კაცი ვარ და არა კაიბიჭი, თუმცა ვთვლი, რომ, რადგან ვესწრები, რადგან მენდობით, სიტყვის თქმის უფლებაც მაქვს“.

ყველაზე კარგად გიომ იცოდა, მისი ბავშვობის მეგობარი მშვიდობისმოყვარე იყო და მაქსიმალურად შეეცდებოდა ვითარების განმუხტვას, ამიტომ, სანამ ვინმე რამეს იტყოდა, თავად შეუძახა: „თქვი, რაც გინდა, მაგრამ სენტიმენტები, შერიგდით. ერთმანეთი გადაკოცნეთ და პაცნური თემა არ შემოაგდო“.

„კეთილი. მე ვიცი, რომ ჯემო კალაშოვის ახლობელია, გიო — ტარიელასი, აგერ მელიქა შუშანაშვილთან ახლობლობს. იმის მაგივრად, ერთად იდგეთ და ქურდულისთვის საერთო საქმე აკეთოთ, ერთმანეთზე იწევთ. გაიხედეთ ფანჯრიდან, ბადრაგი დგას და იცინის. თქვენი საქციელით ძაღლებს აცინებთ და ამას რომელი ზემოთ თქმული ქურდი მოგიწონებდათ? რა გჭირთ, რა დაგემართათ? თუ მორევაზეა, მაშინ აგერ, ტაისონას დავუძახოთ და ყველას მოგვერევა. შერიგება კი არა, იმას გეუბნებით, თუ ამ დონის ქურდებთან ახლობლობთ, ახლა გააჩერეთ თემა, გარეთ, სვაბოდაზე ნახეთ ის ხალხი, დასხედით და იქ დაილაპარაკეთ. იმათი ნათქვამი და მოსმენილი სხვა იქნება და აქ ნათქვამი და მოსმენილი სხვა“, — დაასრულა მონოლოგი №0578-მა.

„მართალია ეს კაცი. წეღან მეც დავინახე, ქირქილებდნენ ძაღლები და არ გამოვა ასე. გავაჩეროთ ბაზარი და სვაბოდაზე გავარკვიოთ, ვინ და როგორ“, — ეს უკვე ქუთაისის რეგიონის მაყურებლის ხმა იყო.

„ასეა, შევეშვათ დღეს ამ თემას, გიოს ჯემოსთან პრეტენზია აქვს და გარეთ გაირჩევა ეგ ამბავი, მეც მაგ აზრზე ვარ“, — თქვა მელიქამ.

სხადნიაკი დაიშალა, პატიმრებმა კამერებს მიაშურეს, №0578 გიოს გაჰყვა, მხარზე ხელი გადახვია და...

„ხომ იცი, სხვანაირად არ გამოვიდოდა. არ გინდა, რა, აქ რამკების მტვრევა. გარეთ კალაშოვი და ონიანი თუ ერთად დასხდებიან ოდესმე, ე.ი. დიდი შერიგება შედგება, თუ არა და ამ ჯემოს კი ნახავ თბილისში ნებისმიერ დროს და იქ მოსთხოვ“, — უთხრა მეგობარს.

„მერამდენედ უნდა ვინანო, ამ ზონაზე რომ ვიჩალიჩე შენი გადმოყვანა. დედა ტერეზა ხარ ბოზისშვილი ვიყო, ვინმეს რომ ვეხიპიშები, თვალებით შენ გეძებ, არ გამოჩნდეს და მანდილი არ ჩააგდოს-თქო. რა გჭირს შეჩემა, აქ მგელი თუ არ ხარ, შეგჭამენ, რა“, — წყენით უთხრა გიომ.

„და როგორ გგონია, მე მგელი ვარ?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„მგელი არა, ლომი“, — გამოაჯავრა გიომ.

„და რატომ არ მჭამენ მაშინ?!“ — გაეცინა №0578-ს.

„იმიტომ, რომ მე ვარ მგელი, მე“, — ჯიუტად გაიმეორა გიომ.

2013 წელს გიო საბერძნეთში „კანონიერ ქურდად“ მონათლეს.

ფულადი გზავნილების აქცია თიბისი ბანკისგან

თიბისი ბანკი ფულადი გზავნილების აქციას იწყებს — მათ, ვინც 17 მარტიდან 17 ივნისამდე თიბისი ბანკისა და თიბისი კონსტანტას ფილიალებში ფულადი გზავნილების მომსახურებით ისარგებლებს, წამახალისებელი საჩუქრები გადაეცემათ.

აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, მომხმარებლებმა სამჯერ გაგზავნონ ან მიიღონ ფულადი გზავნილები თიბისი ბანკის ან თიბისი კონსტანტას ფილიალებში.

თიბისი ბანკისა და თიბისი კონსტანტას ფილიალებში შესაძლებელია ყველა წამყვანი ფულადი გზავნილების სისტემით სარგებლობა, როგორებიცაა: Western Union, Contact, IntelExpress, Zolotaya Korona, Anelik, Ria , Money Gram და Unistream.

საერთაშორისო ფულადი გზავნილების გარდა, სამთვიან წამახალისებელ აქციაში მონაწილეობს ასევე თიბისი ბანკის გზავნილების ახალი სისტემა მარდი.

ფულადი გზავნილების სისტემა მარდი, მოქმედებს საქართველოს მასშტაბით თიბისი ბანკისა და თიბისი კონსტანტას ფილიალებში.

მარდის მეშვეობით, თანხის გაგზავნა და მიღება შესაძლებელია, საქართველოს ნებისმიერ წერტილში ანგარიშის გახსნის გარეშე, ყველაზე სწარფად და ყველაზე დაბალი ტარიფით.

ისარგებლეთ თიბისი ბანკის ფულადი გზავნილების მომსახურებით და გახდით საჩუქრების მფლობელი!

რა პრობლემები აქვს ბიზნესს ხელისუფლებასთან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დამოუკიდებელი ექსპერტები ხელისუფლებას საგადასახადო შემოწმების ვადების დაცვას სთხოვენ

დამოუკიდებელმა ექსპერტებმა 17 მარტს, „რედისონ ბლუ ივერიაში“, ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის არსებულ პრობლემებზე პრესკონფერენცია გამართეს. ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში, ლევან კალანდაძემ და ადვოკატმა იმედა დვალიძემ აღნიშნეს, რომ ბოლო დროს, საგადასახადო შემოწმების ვადების ზრდის გამო, ბიზნესის წარმომადგენლები პრეტენზიებსა და შენიშვნებს გამოთქვამენ. ამასთან დაკავშირებით, შენიშვნები გამოთქვა საქართველოს ბიზნესასოციაციის საგდასახადო-საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელმაც. ბიზნესთან კომუნიკაციის პროცესში არსებულ ხარვეზებსა და ამ მხრივ, ხელისუფლების გააქტიურების აუცილებლობაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმაც ისაუბრა.

დამოუკიდებელი ექსპერტების განცხადებით, წარსულში, საგადასახადო შემოწმების მანკიერი პრაქტიკა დამკვიდრდა, რაც საწარმოების დალუქვასა და საქმიანობის შეჩერებაში გამოიხატებოდა. მათი თქმით, დღეს ეს ყველაფერი მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ საგადასახადო შემოწმების სიხშირე და შემოწმების ვადების ხანგრძლივობა, ბიზნესსექტორისთვის კვლავ აქტუალურია. ეკონომიკის ექსპერტის, **ლევან კალანდაძის** განცხადებით, ეს საკითხი ბიზნესის ყველა სფეროს თანაბრად ეხება, მაგრამ ნავთობპროდუქტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიებისთვის განსაკუთრებით მწავავეა: **„მთავარი პრობლემა დღეს ის არის, რომ საგადასახადო შემოწმებების პერიოდულობა და ვადები ქვეყანაში დარეგულირებული არ არის. ჩვენ გვინდა, კარგი გარემო მივიღოთ და ამისთვის საგადასახადო სისტემის სრულყოფაა საჭირო. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ნავთობპროდუქტების იმპორტიორებისა და რეალიზატორებისთვის. საგადასახადო შემოწმების ვადების დარღვევას ემატება დაუსრულებელი დავა, რამდენად შეესაბამება საქართველოს საცალო ქსელში არსებული ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ მდგომარეობას“.**

ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ბიზნესთან ჯანსაღი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციისა და მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს ჩამოსაყალიბებლად, მთავრობამ ორი, მნიშვნელოვანი საკითხი დროულად უნდა გადაწყვიტოს. პირველი — მაკონტროლებელ ორგანოებში საგადასახადო შემოწმებისადმი დღეს არსებულ მიდგომას სისტემური ცვლილებები და განახლება სჭირდება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საგადასახადო შემოწმების პრაქტიკის ლიბერალიზაციას, მაკონტროლებელ ორგანოებში ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლების დაბარებისა და საგადასახადო შემოწმების სიხშირის ოპტიმიზაციას, საგადასახადო ვადების შემცირებასა და გონივრულობის ფარგლებში მოქცევას. მეორე — კონკურენციის სააგენტომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში უნდა დაასრულოს ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევა და საზოგადოებას შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს. საჯაროობისა და მაქსიმალურად გამჭვირვალე პირობებში, ამ კვლევის განხილვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნავთობპროდუქტების ბაზარსა და ფასებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე კომპეტენტური პასუხების გაცემას.

„ვიცი, ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევა მიმდინარეობს, კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელს შევხვდი და ამ თემაზე ვესაუბრე კიდეც. აბსოლუტურად გულწრფელად შევდივარ მის მდგომარეობაში, რომ ეს კვლევა ასე მარტივად ჩასატარებელი არ არის, ბევრი ტექნიკური დეტალი, საერთაშორისო ბაზრების ტენდენციებია გასაანალიზებელი, ეს საკმაოდ რთული საკითხია, რასაც სერიოზული ფინანსური ანალიზი სჭირდება. თუმცა ვთვლი, ოთხი თვე სრულიად საკმარისი დროა, რათა სააგენტოს საზოგადოებისთვის პირველადი სურათი წარედგინა“, — განუცხადა „ვერსიას“ **ლევან კალანდაძემ**.

მისი თქმით, ბიზნესი მზადაა, რათა ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციის პირობებში, თემატურად ითანამშრომლოს. ხელისუფლებაში იგულისხმება, როგორც საგადასახადო ორგანოები, ასევე კონკურენციის სააგენტო, ბიზნესომბუდსმენის აპარატი და სხვა მაკონტროლებლები. ექსპერტების განცხადებით, ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად სწორი, ეფექტური და დროული გამოყენება, ქვეყანაში საინვესტიციო და ბიზნესგარემოს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. „ვერსიის“ კითხვაზე, რა არის რეალური მიზეზი, რის გამოც საგადასახადო შემოწმების ვადები ირღვევა, ადვოკატმა **იმედა დვალიძემ** უპასუხა, რომ მთავარი პრობლემა ადამიანური რესურსების სიმწირეა:

„რაც შეეხება საგადასახადო შემოწმების ვადებს, პირდაპირ მითითებულია, რომ საგადასახადო დავასთან დაკავშირებული სარჩელის შეტანიდან, გადაწყვეტილების გამოტანამდე ორი, მაქსიმუმ, ოთხი თვე უნდა გავიდეს. მეორე ინსტანციის სასამართლოში, ორთვიანი ვადაა დადგენილი, გადაწყვეტილება კი მოსარჩელეს 10 დღეში უნდა ჩაგბარდეს. როგორც ხედავთ, საგადასახადო დავების ვადები შემჭიდროვებულია, მაგრამ საგადასახადო ორგანოები დადგენილ ვადებს ვერ იცავენ. მაგალითად, ზოგიერთ საქმეზე, რომელზეც სარჩელი გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შევიტანე, მოსმენა მხოლოდ ახლა, ერთი წლის შემდეგ იწყება. როდესაც შესაბამის უწყებებს ვადების დარღვევის გამო, წერილობით მივმართე, მიპასუხეს, რომ საქმეთა რიცხოვნობის გამო, ამ დავების დროულად განხილვას ვერ ვახერხებთო. რეალურად, მართლაც ბევრი საქმე დაგროვდა, ადამიანური რესურსი კი მცირეა, მოსამართლეთა რაოდენობაც არაა საკმარისი, რადგან შეუძლებელია, ერთმა მოსამართლემ 300 საქმე განიხილოს და ყველა ეს საქმე ხარისხიანად შეისწავლოს, რომლებზეც დასაბუთებულ გადაწყვეტილებას გამოიტანს. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას დაახლოებით, 2-3 წელი სჭირდება, რაც არანორმალურად დიდი დროა. ამ 2-3 წლის მანძილზე, ბიზნესი მოლოდინის რეჟიმშია, ამ სიტუაციაში ბევრი წყვეტს დავას, რადგან მართალიც რომ იყოს, ურჩევნია, დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს, ვიდრე დროში გაწელილ სასამართლო პროცესს უსასრულოდ ელოდოს“.

ვერსიანიუსი

შსს-მ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული რაფაელ შ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, არსენალის მთის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლე — 1983 წელს დაბადებული სუზანა ს. მოკლა. სამართალდამცველებმა რაფაელ შ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე თებერვალში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოტანის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის მეათე სხდომა გაიმართა. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. სახელმწიფო კომისია ყოველთვიურად იკრიბება და მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი კანონმდებლობის იმპლემენტაციასა და საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კომპლექსური ანტინარკოტიკული პოლიტიკა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ 2014 წლის მაისის სტატისტიკასთან შედარებით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის დაბალი მაჩვენებლები შენარჩუნებულია. კლების ტენდენციაზე მეტყველებს აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შეხვედრაზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, თებერვალში საზღვარზე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოტანის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. სახელმწიფო კომისიის სხდომაზე მოხდა 2015 წლის მარტში ქალაქ ვენაში გაერო-ს ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისიის (CND) 58-ე სესიაზე განხილული საკითხების ანალიზი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების კუთხით. CND-ის სესიას ესწრებოდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის მდივანი და შსს-ს აკადემიის პრორექტორი სოფიო კილაძე. გაერო-ს ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისიის სესიაზე, სხვა საკითხებთან ერთად, აქცენტი გაკეთდა ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებით მსოფლიოს ახალ გამოწვევებზე, რამდენიმე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესაძლო შეტანაზე გაერო-ს საერთაშორისო კონვენციების სიებში, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომელთა გაერო-ს საერთაშორისო კონვენციებში შეტანაზეც მიმდინარეობს დისკუსია, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ 2014 წლის კანონით საქართველოში უკვე კონტროლსაა დაქვემდებარებული.

„ვერსიანიუსი“

ნოვაცია

ლიბერთი კლუბის აქცია ლიბერთი ბანკის სახელფასო პროგრამაში ჩართული მომხმარებლისთვის — 10 წუთი სასაუბრო დრო საჩუქრად

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი კლუბი სახელფასო პროგრამაში ჩართულ მომხმარებლებს წამახალისებელ აქციას სთავაზობს — მომხმარებლები, რომლებიც ხელფასს ლიბერთი ბანკში იღებენ, საჩუქრად მიიღებენ სასაუბრო დროს 10 წუთის ოდენობით, ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით გადახდის შემთხვევაში. მომხმარებელმა გადახდა უნდა განახორციელოს მინიმუმ 10-ჯერ, 10 ლარის ოდენობით თითოეული გადახდის დროს. ყოველი ასეთი მეათე გადახდის შემდეგ, მომხმარებლის სასაუბრო დრო ავტომატურად შეივსება ათი წუთით.

აქცია მოქმედებს მხოლოდ ლიბერთი ბანკის სახელფასო პროგრამაში ჩართული მომხმარებლისთვის. აქციაში ავტომატურად მონაწილეობს მომხმარებელი, თუ იგი ფლობს ლიბერთი ბანკის მიერ გამოშვებულ სახელფასო ბარათს და გადახდას განახორციელებს ლიბერთი ბანკის მიერ გამოშვებული ნებისმიერი ბარათით (მაგალითად, სახელფასო ბარათით, საკრედიტო ბარათით, სმარტივი ბარათით, ა.შ.).

ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით გადახდის დროს, მომხმარებლები კვლავ მიიღებენ ლიბერთი კლუბის ქულებს. დაგროვილი ქულების განაღდებას კი შეძლებენ ვებ გვერდიდან www.LBClub.ge, ან ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბანკომატის გამოყენებით.

დამატებით, მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ 50%-მდე ფასდაკლებები Cheap.ge პარტნიორ ობიექტებში, თუ გადახდა განხორციელდება ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით ლიბერთი ბანკის POS ტერმინალზე.

„ბავშვს ობიექტური თვითშეფასება უნდა ჩავუნერგოთ“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სკოლის პერიოდი ბავშვის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპია – პირველი გამოჩენა ცხოვრების დიდ სცენაზე, სადაც უამრავი უცნობი ადამიანი, მოულოდნელობა, სირთულე და რაც მთავარია, ვალდებულება ელის. „ვერსიას“ ფსიქოლოგი მაია გოგიჩაძე ესაუბრება.

ფსიქოლოგის რჩევები მშობლებს



— სკოლაში შესვლისას ბავშვი, ასე თუ ისე, უკვე ჩამოყალიბებული ადამიანია, აქვს გარკვეული წარსული გამოცდილება — მანამდე ბაღში დადიოდა და სოციუმთან ურთიერთობდა. მიუხედავად ამისა, უმნიშვნელოვანესია, არა გადაჭარბებული, არამედ ობიექტური წარმოდგენა და საკუთარი შესაძლებლობების მაღალი თვითშეფასება ჰქონდეს. ამის მისაღწევად, ბავშვს არავითარ შემთხვევაში, არანაირი შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ — თუ ეგონება, რომ არაფერი გამოუვა, ჩამორჩენილი იქნება. ამ ფონზე, წახალისება უმნიშვნელოვანესია. არ ვამბობ, ზედმეტად გავათამამოთ და შენიშვნა არ მივცეთ — საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაისაჯოს კიდეც, მაგრამ სასჯელი აუცილებლად „დანაშაულის“ ადეკვატური უნდა იყოს და არასოდეს — დაუმსახურებელი... ბავშვის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია

სკოლაში მისვლის პირველი დღე, რომელიც, სიხარულთან ერთად, დიდი სტრესიცაა. ამ დღესაც, ადეკვატური თვითშეფასება უნდა დაეხმაროს და ზოგადად, ასე გაგრძელდება ნებისმიერ ასაკში. 6 წლისას 15 წუთზე მეტხანს ყურადღების ერთი მიმართულებით წარმართვა არ შეუძლია, ამ დროს კი ბევრი ამოცანის წინაშე დგება: უნდა ისწავლოს მერხთან ჯდომა, წიგნთან მუშაობა, დისციპლინა, სხვისთვის ანგარიშის გაწევა... ზოგ ქვეყანაში, სკოლაში 7 წლიდან მიდიან და ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. რაც უნდა გონებრივად განვითარებული იყოს ბავშვი, ბევრი ლექსიც რომ ისწავლოს, არითმეტიკული ამოცანებიც შეასრულოს, მიხვედრილიც იყოს და ათვისების კარგი უნარიც ჰქონდეს, მას, ფსიქოლოგიური მექანიზმები მაინც თამაშისკენ უხმობს. ის მარტო ემოციურად კი არა, ფიზიკურადაც არაა მზად, თუნდაც დიდხანს ჯდომისთვის, რაც შეიძლება მისთვის დამანგრეველიც კი იყოს.

— ამ უნარების ასათვისებლად, დღეს ბევრ სკოლაში უკვე არსებობს სკოლამდელი აღზრდა. ეს მნიშვნელოვანია?

— ყველა ეტაპზე, სოციუმთან ურთიერთობა აუცილებელი და სავალდებულოა პიროვნებად ჩამოსაყალიბებლად. რაც უფრო ადრე დაიწყებს ბავშვი სოციუმთან ურთიერთობას, მით ადვილად ეგუება გარემოს და ადრე უვითარდება ადაპტაციის მექანიზმი. საბავშვო ბაღისგან განსხვავებით, სკოლამდელი აღზრდა გარკვეულ ჩვევებს მართლაც უყალიბებს ბავშვს და ამზადებს სკოლისთვის, რაც ძალიან კარგია.

— რამდენად კარგია სკოლაში ფსიქოლოგის არსებობა?

— სასურველია, სკოლებში ფსიქოლოგის ინსტიტუტის არსებობა. არის შემთხვევები, როცა მისი ჩარევა აუცილებელია. სპეციალისტის ნათქვამი ზოგჯერ მეტად ჭრის. დედამ უნდა იცოდეს, რა არის დაუშვებელი, გამოსწორებადი...

— და რა არის დაუშვებელი და დასაშვები?

— დაუშვებელია ცემა და აგრესიის გამომჟღავნება. ასევე, ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც უფროსებს შორის დაძაბული ურთიერთობაა. ჩუმი კონფლიქტი უფრო მოქმედებს ბავშვზე, ვიდრე ღია შეხლა-შემოხლა, რადგან მეორე შემთხვევაში გახსნილია სიტუაცია და ყველამ იცის, ვის რა უნდა. ბავშვი უნდა იზრდებოდეს სიყვარულში. ის უნდა იყოს სასურველი მშობლებისთვის.

— მაინც რამდენი ხანსა სასურველი, ბავშვი იყოს დედასთან?

— დედა და შვილი განუყოფელია. ადრე, ბაღის ასაკამდე ბავშვები დედასთან იზრდებოდნენ. დღეს, დედების უმრავლესობა, იძულებულია, მშობიარობიდან 4 თვეში სამსახურში გავიდეს და შემდეგაც, ძირითადი დრო სამსახურში გაატაროს. ამ ფონზე. ქალიც ითრგუნება და ბავშვიც...

— ამ ფონზე, რამდენად ბევრია დამოკიდებული მასწავლებელზე?

— ამ ფონზე, მით უმეტეს, გაზრდილია მასწავლებლის როლი. მან შეიძლება ერთი სიტყვით რადიკალურად შეცვალოს ბავშვის ცნობიერება. მასწავლებელსა და მშობელს შორის მუდმივი დიალოგი უნდა არსებობდეს. დაწყებითების პედაგოგი უნდა ზრუნავდეს არამარტო განათლების მიცემაზე, არამედ იმაზე, ბავშვებს ერთმანეთი შეუყვარდეთ, თავისგატანა, ურთიერთობები ისწავლონ... ცუდზე ყურადღების გამახვილება არც მშობლისგან შეიძლება და არც პედაგოგისგან.

— აბა, რა ფორმით მივანიშნოთ, როცა გვინდა, რაიმე სხვაგვარად გააკეთოს?

— ყოველთვის პოზიტიური დატვირთვა უნდა ჰქონდეს ჩვენს ნათქვამ წინადადებას. მაგალითად: „ცუდად ნუ იქცევი“-ს ნაცვლად ვუთხრათ: „მოდი, ახლა კარგად მოვიქცეთ“. როცა ეტყვი — „ნუ დახევ“, აუცილებლად დახევს. შეიძლება, არც აპირებდა ამის გაკეთებას, მაგრამ ჩვენ გავახსენეთ. ასევე, არასოდეს უთხრათ: „ცუდი ბავშვი ხარ“ — არც ერთი ბავშვი არ არის ცუდი. ამის ნაცვლად უნდა ვუთხრათ: „ეს ცუდი საქციელია“. დიალოგი მშობელსა და შვილს შორისაც მუდმივად უნდა იყოს.

— დაუმორჩილებელი ბავშვების რიცხვმა დღეს იმატა?

— გააჩნია, რას ვგულისხმობთ. აკაკი წერეთელიც დაუმორჩილებელი იყო, თუმცა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ხელებზე ურტყამდნენ. ზოგადად, ბავშვი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ანარეკლია. მატერიალური სიდუხჭირე, ნარკომანი მამა, ოჯახის კრიმინალად გამოცხადებული წევრი – ამ ყველაფერმა მძიმე კვალი დატოვა... მამებმა უნდა გაიაზრონ, რომ სათაკილო შრომა კი არა, ისაა, როცა ბავშვს შია და არაფერს აკეთებ. დალექილ უარყოფით ემოციას პატარა ისევ თანატოლებში ხარჯავს, რადგან სახლში უფროსები მასზე ძლიერები არიან. ბავშვი ოჯახის სარკეა. თუ მის ოჯახში ცემა და ლანძღვა მისაღები ფორმაა, აუცილებლად იპოვნის მასზე სუსტს და დაჩაგრავს. ხშირად, მშობელს მოჰყავს ბავშვი და თავად არ უნდა მასთან ურთიერთობაში არაფრის შეცვლა. ამ ფონზე, მშობელთან ცალკე მუშაობა გვიწევს, რომ ჩვენი საქმიანობა წყალში არ ჩაიყაროს. ასეა მასწავლებლის შემთხვევაშიც. ბევრი რამ, მშობელმა უნდა გაიაზროს. მაგალითად, ის, რომ ბავშვს უნდა მოვუფრთხილდეთ და არასოდეს გავაგონოთ ოჯახის წევრების ლანძღვა. მისი ბრალი არაფერია – არც უმუშევრობა, არც ცუდი ამინდი, არც უსამართლო უფროსი... დასჯისა და მოფერების დროს, ზომიერება უნდა დავიცვათ. კარგია ავტორიტეტული არა ავტორიტარული ოჯახები, სადაც დედ-მამის რიდი და არა შიში აქვთ. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, ავტორიტეტი ქცევით მიიღწევა. სიტყვებზე მნიშვნელოვანი, მაგალითია, რადგან ბავშვი ბაძავს მშობლებს. თუ ბავშვი უმამოდ ან უდედოდ იზრდება, არასოდეს გავლანძღოთ სახლიდან წასული მშობელი. საზოგადოებაც სცოდავს ხოლმე ზედმეტი კითხვებითა და შეცოდებით. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, გავუფრთხილდეთ ბავშვის ფაქიზ სულს, ყველაფერი ხომ ცნობიერებაში ილექება. ფაქტი დაავიწყდება, ემოცია კი – არასოდეს.

„ქამრების შემოჭერა“ ჩოხატაურულად

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რიგითი ჩოხატაურელები ადგილობრივ ხელისუფლებას ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას სთხოვენ, მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველი პირები კი ამბობენ, რომ მათ ე.წ. ქამრები უკვე შემოჭერილი აქვთ და მეტად ვეღარ შემოიჭერენ.

თვითმმართველობის ახალი ფორმულირება თუ გაბერილი შტატების გამართლება

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა — ქამრები შემოვიჭიროთო, ჩოხატაურში მოსახლეობა ხელისუფლებას ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასა და ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს. რიგითი ადამიანების თქმით, თვითმმართველობებში შტატები უნდა შემცირდეს. მოსახლეობა ამბობს, რომ ლარის გაუფასურებამ ქვეყანაში მედიკამენტებსა და პროდუქტზე ფასები საგრძნობლად გაზარდა, რაც მათ მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს.

„ამდენი უსაქმურით რომ გამოტენეს გამგეობა და საკრებულო, შტატები თუ დანამატები შეიმცირონ. ამდენი ხალხი უმუშევარია... ჩვენ 150 ლარს ხომ ვკმარობთ? ახლა დავიანგარიშე და მხოლოდ წამლებში 137 ლარი მჭირდება. აი, ასე გაქრა ჩემი პენსიაც. გეკითხებით — რას აკეთებს ამდენი თანამშრომელი გამგეობაში?! მე მთელი დღე 1 ლარზე ვმუშაობ, საღამოს პური რომ ვიყიდო და მშიერი არ მოვკვდე. დღეს ფუნქციადაკარგული საკმაოდ ბევრი შტატია მაღალი დაფინანსებით. კარგია, როცა ადამიანები დასაქმებულები არიან, მაგრამ ყველაფერი შედეგებზე უნდა იყოს გათვლილი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათზე საკმაოდ დიდი დაფინანსებაა გამოყოფილი მხოლოდ იმისთვის, რომ მმართველ პარტიას საარჩევნოდ მეტი მხარდამჭერი ჰყავდეს. ზოგიერთ სამსახურში სამუშაო პირობებიც არ არის, თავდაპირველად, თანამშრომლებისთვის სკამებიც არ იყო საკმარისი, მაგრამ ეს ორგანიზაციები მაინც შექმნეს. ფუნქციებში ვერ ერკვევიან და მოვალეობებსაც ვერ აცნობიერებენ, თუმცა კარგად იციან, რომ სამსახურის შენარჩუნების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მხარი ხელისუფლებას უნდა დაუჭირონ“, – აცხადებს რესპონდენტი, რომელმაც გვთხოვა, ვინაობა არ გაგვემხილა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში შტატები რომ გაბერილია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერი **დიმიტრი კორიფაძეც** ადასტურებს: **„საშტატო ერთეულის რიცხოვნობა გაზრდილია. საჭიროა შტატების ოპტიმიზაცია, გამოთავისუფლებული თანხა კი სამუშაო პროცესის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. განსაკუთრებით გაზრდილია შტატები აიპ-ებში, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ თავისი აქტივი დაასაქმა“.**

საფინანსო სამსახურში განმარტავენ, რომ ჩოხატაურის ბიუჯეტი 5 476 400 ლარია. აქედან მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების ხელფასზე 988 500, ხოლო საკრებულოს თანამშრომლების ხელფასზე 375 400 ლარი იხარჯება. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში არსებულ აიპ-ებს, თანამშრომლების ხელფასის წლიური დანახარჯი 1 მილიონ 530 ლარია. მოკლედ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად 5 476 400 ლარიდან საჯარო სამსახურის თანამშრომლების ანაზღაურებისათვის, 2 მილიონ 983 ათასი ლარი იხარჯება. რაც შეეხება სოციალურ პაკეტს, 450 ათასი ლარია გამოყოფილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ირაკლი კუჭავა** აცხადებს, რომ ქამარი ისედაც შემოჭერილი აქვთ და მეტად შემოჭერის აუცილებლობას ვერ ხედავს. კუჭავას თქმით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თავიდანვე მცირე ადმინისტრაციულ დანახარჯებზე გათვალეს: **„თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 71-მდე შტატი შემცირდა. ამ ეტაპზე გამგეობაში 100 საშტატო ერთეულია, 32 ადგილზე თავიდან გამოვაცხადებთ ვაკანსიას ანუ, მთლიანობაში, 132 საშტატო ერთეული იქნება. შემიძლია 145 შტატი მქონდეს, თუმცა კოდექსში ჩადებული ფინანსური შეზღუდვები ამის საშუალებას არ გვაძლევს“.**

„ვერავინ გაექცევა პასუხისმგებლობას“, — პრემიერის ამ სიტყვების ადრესატი თვითმმართველობებია. მთავრობის მმართველის კრიტიკასა და მოწოდებას, თვითმმართველობებმა მეტი პასუხისმგებლობა იტვირთონ, ჩოხატაურის ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ თავზე არ იღებენ. გამგებელი ამბობს, რომ გაწერილი გეგმით მუშაობს და ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც დათქმულ დროში ახორციელებენ. კუჭავას თქმით, პრემიერმა ჩოხატაური და ოზურგეთი წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის მოიხსენია: **„პრემიერმა გააკეთა გასული წლის ინფრასრუქტურული პროექტების ანალიზი. ამ კონტექსტში, ჩოხატაური და ოზურგეთი წარმატებულ მუნიციპალიტეტებად იყო მოხსენიებული. წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან 15 პროექტი ფინანსდება, მათ შორისაა ჩოხატაურის აგრარული ბაზრისა და კულტურის სახლის მშენებლობის პროექტი“.**

სკანდალური დოკუმენტი, რითაც ვლადიმერ პუტინის მიერ კოლუმბიელი ნარკომოვაჭრეების ფულის გათეთრება დასტურდება

უკრაინის უშიშროების სამსახურის საიდუმლო ანგარიში, ეფესბე-ს დირექტორის, ვიქტორ ივანოვის დოსიე და მოწმე, რომელიც ლიტვინენკოს მკვლელობაში პუტინი-ივანოვის მოტივს ასახელებს

„ბი-ბი-სის“ ჟურნალისტი ვიქტორ ნეჰეზინი სტატიაში — „მოწმე: ლიტვინენკო პუტინის ბრძანების გარეშე არ მოკლავდნენ“ — წერს, რომ კაგებე-ს ყოფილი ოფიცერი იური შვეცი ლიტვინენკოს საქმის მოსმენაზე სკანდალურ ჩვენებას აძლევს და აცხადებს, რომ მისი მეგობარი ლიტვინენკო, შესაძლებელია, იმის გამო მოკლეს, რომ ვლადიმერ პუტინი 90-იან წლებში კოლუმბიური ნარკოკარტელის ფულის გათეთრების საქმეს „კრიშავდა“. „ვერსია“ გთავაზობთ ამ სტატიას მცირე შემოკლებით.

იური შვეცი გახლავთ კაგებე-ს კადრის ოფიცერი, რომელმაც დაამთავრა ანდროპოვის სახელობის შიდადაზვერვის ინსტიტუტი, 80-იან წლებში მუშაობდა აშშ-ში რეზიდენტად და სპეცსამსახური 1990 წელს დატოვა. 1993 წელს ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში და 1997 წლიდან მუშაობდა „დიუ დილიჯენსში“, რომელიც კომერციული რისკების შესაფასებლად აგროვებს ინფორმაციას იმ კომპანებისთვის, ვისაც რუსეთში ინვესტიციის ჩადება და ბიზნესის დაწყება სურს. შვეცი აცხადებს, რომ ვლადიმერ პუტინის თანაკურსელია.

სკანდალური მოწმის ჩვენება

კაგებე-ს ყოფილი ოფიცერი ლიტვინენკოს მკვლელობის საქმეზე მიმდინარე სასამართლო მოსმენაზე აცხადებს, რომ, მისი ინფორმაციით, მკვლელობა უკავშირდება ვიქტორ ივანოვის დოსიეს. ივანოვი გახლავთ რუსეთის ფედერალური სამსახურის (ეფესბე) დღევანდელი დირექტორი, რომელიც ნარკოტიკების მოძრაობას აკონტროლებს. იგი გახლავთ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი უახლოესი მეგობარი. დოკუმენტი კი, რომელზეც იგი საუბრობს, მომზადებულია იური შვეცის მიერ, 2006 წლის სექტემბერში, ალექსანდრ ლიტვინენკოს დაკვეთით კომპანია „ტიტონისთვის“. შვეცი ამტკიცებს, რომ თავად შეიტანა დოსიეში ინფორმაცია, ტამბოვის მაფიოზურ კლანთან პუტინისა და ივანოვის კავშირების შესახებ. ეს კლანი კი, თავის მხრივ, 90-იან წლებში დაკავებული იყო ნარკოვაჭრობით და კოლუმბიური ნარკოკარტელის ფულს ათეთრებდა.

შვეცის აზრით, სწორედ ეს დოსიე გახდა მიზეზი არა მხოლოდ მნიშვნელოვანი კომერციული გარიგების ჩაშლისა, რომლის შედეგადაც ივანოვი პირადად 10-15 მილიონ დოლარს მიიღებდა „ატკატის“ სახით, არამედ შესაძლებელია, სერიოზულად შეეშფოთებინა ვლადიმერ პუტინი. ამ საკითხზე ოფიციალური საგამოძიებო მოკვლევა უმაღლესმა სასამართლომ ალექსანდრე ლიტვინენკოს მეუღლის — მარინას მიმართვის საფუძველზე დაიწყო. გამოძიების მთავარი მიზანია, უპასუხოს კითხვას, დაკავშირებულია თუ არა რუსეთის ხელისუფლება ლიტვინენკოს სიკვდილთან. როგორც ცნობილია, ლიტვინენკო 2006 წლის 23 ნოემბერს, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის კლინიკაში რადიოაქტიური ნივთიერება „პოლონიუმ 210“-ით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. როგორც ბრიტანეთის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, მომწამვლელი ნივთიერება მას ჩაიში ჩაუყარეს, როდესაც იგი ეფესბეს ყოფილ თანამშრომელს, ანდრეი ლუგოვს (დღეს გოსდუმის დეპუტატი) და დიმიტრი კოვტუნს ხვდებოდა.

იური შვეცი გამორიცხავს ალბათობას, ალექსანდრე ლიტვინენკო რუსეთის სპეცსამსახურებს უცხოეთში მოეკლათ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისა და პირადად, ვლადიმერ პუტინის ნების გარეშე. როგორც შვეცი განმარტავს:

„ეს არის კაგებე-ს წესი ნომერი პირველი — გაიმყაროს საკუთარი ზურგი, ხოლო ზურგის გამაგრება შესაძლებელია მხოლოდ შეფის ნებართვით. მით უმეტეს, რუსეთში, სადაც მუდმივად ლაპარაკობენ სახელისუფლო ვერტიკალზე, სადაც არსებობს ერთადერთი შეფი, რომელიც იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ნებისმიერი გენერალი, ბატონი ივანოვისა და ეფესბე-ს ნებისმიერი გენერლის ჩათვლით, სანამ საშას ან სხვისი ლიკვიდაციის ბრძანებას გასცემდა, თავდაპირველად, საკუთარი უსაფრთხოების გარანტიას აიღებდა, ყოველი შემთხვევისთვის“.

ნაწყვეტები ვიქტორ ივანოვის დოსიედან უკვე გამოქვეყნდა ლონდონის უმაღლესი სასამართლოს სხდომაზე, ამის შემდეგ შვეცმა, რომელიც მოსმენაზე აშშ-დან ვიდეოკავშირით ერთვებოდა, ბრიტანეთის მართლმსაჯულებას თანხმობა მისცა დოსიეს სრულ პუბლიკაციაზე.

როგორც სასამართლო განხილვაზე მოწმე დინ ეტიუმ — „ტიტონის“ ყოფილმა უფროსმა განაცხადა, ლიტვინენკომ იური შვეცს ოთხი დოსიე დაუკვეთა — ვიქტორ ივანოვის, იგორ შუვალოვის (ამჟამად, რუსეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი) და ორი რუსი ბიზნესმენის — ევგენი ტუგოლუკოვისა და კირილ შუბსკის. ლიტვინენკომ შვეცის ნებართვის გარეშე გადასცა ივანოვის დოსიეს ასლი ლუგოვს, საიდანაც, როგორც შვეცი ვარაუდობს, რუსეთის სპეცსამსახურმა შეიტყოს პუტინისა და ივანოვის საკმაოდ სახიფათო კომპრომატების არსებობის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს იყო ერთადერთი მაგალითი იმ ინფორმაციის არსებობისა, რომელიც დოკუმენტებით იყო გამყარებული.

2002 წელს იური შვეცს დაუკვეთეს სამუშაო, რომელიც ეხებოდა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმასა და ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმის გამოძიებას. შვეცს უნდა გაეშიფრა და ამოებეჭდა კუჩმასა და მისი ქვეშევრდომების ასეულობით საათიანი საუბრების ჩანაწერები. ამ სამუშაოში თანხას ბორის ბერეზოვკი იხდიდა — შვეცი ჩაფრინდა ლონდონში და იქ გაიცნო ალექსანდრე ლიტვინენკო. სწორედ მოსმენების საარქივო ჩანაწერების გაშიფვრისას მიღებულმა ინფორმაციამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ლიტვინენკოს მკვლელობის გამოძიების საქმეში.

უკრაინული კვალი

იური შვეცმა განმარტა, რომ ვიქტორ ივანოვის დოსიეს შედგენისას, იგი, დიდწილად, სარგებლობდა ინფორმაციით, რომელიც პირადად ალექსანდრე ლიტვინენკოსგან მიიღო. კერძოდ, ლიტვინენკო 90-იან წლებში იძიებდა ტამბოვის მაფიოზიური კლანის მოღვაწეობას და სწორედ მაშინ აღმოაჩინა მათი კავშირები ვიქტორ ივანოვთან. თუმცა ზოგიერთი ინფორმაცია შვეცმა კუჩმასა და უკრაინის უშიშროების სპეცსამსახურის თანამშრომლების საუბრების გაშიფვრისას მიიღო. სწორედ იქიდან დაადგინა ვლადიმერ პუტინის შესაძლო კავშირები ნარკოვაჭრობასთან. ეს ის პერიოდია, როცა პუტინი სანკტ-პეტერბურგის ადმინისტრაციაში მუშაობდა.

ლიტვინენკოს ქვრივის ადვოკატმა, ბენ ემერსონმა წაიკითხა ნაწყვეტები ვიქტორ ივანოვის დოსიედან: „ეს იყო უცნაური დრო. ივანოვი, ეფესბე-ს კონტრაბანდასთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი, თანამშრომლობდა ტამბოვის ქურდულ დაჯგუფებასთან პეტერბურგის საზღვაო პორტზე კონტროლის მიღების მიზნით, პორტს განგსტერები იყენებდნენ კოლუმბიური ნარკოტიკის ევროპაში გადატანის მიზნით. პუტინი, რომელიც იმ პერიოდში ქალაქის ადმინისტრაციაში მუშაობდა, გახლდათ კომპანია „სპაგის“ კონსულტანტი და არსებული ინფორმაციით, სწორედ ის ათეთრებდა პეტერბურგში კოლუმბიელი ნარკომოვაჭრეების შავ ფულს. ტამბოვის დაჯგუფების ლიდერი კუმარინი კი კომპანია „სპაგის“ შვილობილი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო“.

დოსიედან ირკვევა, რომ ლეონიდ კუჩმამ კარგად იცოდა პუტინის ბიოგრაფია.

„უკრაინული სპეცსამსახურის მონაცემები, რომელიც თქვენ გამოიყენეთ საკუთარი დასკვნების გასაკეთებლად, იყო საიდუმლო თუ ინფორმაცია მიიღეთ ღია წყაროებიდან?“ — ჰკითხა ემერსონმა მოწმეს.

„ეს იყო უკრაინის უშიშროების სამსახურის საიდუმლო ზეპირი ანგარიში, რომელიც ლეონიდ კუჩმას მიაწოდეს. უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსმა დერკაჩმა მას მოახსენა შემდეგი — მათ მიიღეს დოკუმენტები ევროპიდან, სადაც საუბარია ვლადიმერ პუტინის კავშირზე „სპაგთან“, რასთან დაკავშირებითაც გერმანიასა და ლიხტენშტეინში მიმდინარეობდა გამოძიება კოლუმბიური ნარკოკარტელის ფულის გათეთრების საქმეზე“, — უპასუხა მოწმე შვეცმა.

„ანუ ეს არის ღია ინფორმაცია თუ საიდუმლო?!“ — კიდევ ერთხელ დააზუსტა ემერსონმა.

„სპაგის“ საქმის გამოძიება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, მაგრამ უცნობი იყო, რომ ვლადიმერ პუტინს ჰქონდა რაიმე კავშირი „სპაგთან“ და რომ რუსეთის სპეცსამსახურები ხარჯავდნენ კოლოსალურ თანხებს ევროპაში ამ გამოძიების შესახებ ინფორმაციის გამოსასყიდად“, — განმარტა შვეცმა.

„ეს გაძლევთ საფუძველს, დაასკვნათ, რომ თქვენ ჩართეთ ამ დოსიეში ინფორმაცია, რომელიც პოტენციურად სახიფათო იყო თვით პრეზიდენტი პუტინისთვის?“ — იკითხა ადვოკატმა.

„დიახ, ძალიან სახიფათოა, რადგან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს იყო დოკუმენტურად გამყარებული ერთადერთი ინფორმაცია. სხვა მონაცემები, რომელიც ვნახე ინტერნეტში, ან მოარულ ხმებზეა დამყარებული, ანდა ანონიმურ წყაროებზე და ა.შ.“, — მიაჩნია შვეცს.

„მაგრამ თქვენ ხელთ გაქვთ რეალური დოკუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც შეგიძლიათ თქვენს დოსიეში გარკვეული დასკვნები გააკეთოთ, არა — თქვენ ეს გქონდათ მხედველობაში?“ — გააგრძელა დაზუსტება ემერსონმა.

„დიახ, მე მაქვს გაშიფრული მოხსენება, რომელიც უკრაინის უშიშროების სამსახურებმა პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას მოუმზადეს!“ — განაცხადა შვეცმა.

კონკურენტი წყარო

იური შვეცი ამტკიცებს, რომ ლუგოვის გვარი ალექსანდრე ლიტვინენკოს სიკვდილამდე არასოდეს სმენია. თუმცა იცოდა, ლიტვინენკო კიდევ ერთ „წყაროსთან“ თანამშრომლობდა. სწორედ ამ წყაროს გადასცა ლიტვინენკომ ივანოვის დოსიეს ასლი იმის საჩვენებლად, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მსგავსი ანგარიშები. შვეცი შეშფოთდა, როცა შეიტყო, რომ საშამ გადასცა დოსიე ვიღაც რუსს, თუმცა ლიტვინენკომ იგი დაამშვიდა.

„ეს რუსი ისევე, როგორც ჩვენ, ყოფილი კაგებეშნიკია, ისიც მუშაობს ბერეზოვსკიზე და ისიც ციხეში იჯდა მესთან კავშირის გამო“, — ამ არგუმენტებით გაამართლა ლიტვინენკომ საკუთარი საქციელი. 2006 წლის 1 ნოემბრის შემდეგ, ორი დღის მანზილზე, ლიტვინენკო შვეცს უკავშირდებოდა და არწმუნებდა, რომ იგი რაღაც საკვებით მოიწამლა. შემდეგ კი, როცა მდგომარეობა გართულდა, ლიტვინენკო კიდევ ორი დღის მანძილზე ამტკიცებდა, რომ იგი მარიო სკარამელამ მოწამლა და მხოლოდ ამის შემდეგ აღიარა, იმ დღეს, როცა მოიწამლა, შეხვდა კიდევ ორ რუსს, მათგან ერთ-ერთი სწორედ ის კონკურენტი წყარო იყო.

„მაშინ კი ვუთხარი საშას — აი, სწორედ ეგენი უნდა მოვძებნოთ!“ — იხსენებს იური შვეცი, რომელიც მიიჩნევს, რომ ლიტვინენკოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება ოპერატიულად იქნე მიღებული — 2006 წლის სექტემბერში.

„მე ასე მესმის, რომ გარიგებჩაიშალა ჩემი დოსიეს გამო და ივანოვმა ვერ მიიღო „ოტლკატი“, რომელსაც ელოდა. თანხა დაახლოებით 10-15 მილიონი დოლარი იყო,-“ განაცხადა შვეცმა. მისი აზრით, ვიქტორ ივანოვს შურისმაძიებელი კაცის რეპუტაცია აქვს.

„დოსიეში იყო ინფორმაცია პუტინის მონაწილეობაზე ნარკოვაჭრობაში და მე ვფიქრობ, რომ ივანოვსა და პუტინს არ უნდოდათ, ამის შესახებ დასავლეთში გაეგოთ“, — ასკვნის კაგებე-ს ყოფილი თანამშრომელი.

მოამზადა რუსუდან ხავთასმა

ჭორია თუ სიმართლე

5 მარტის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საზოგადოებაში აღარ გამოჩენილა...

რამდენად რეალურია ეჭვი მისი ავადმყოფობის შესახებ? მისი პრესცენტრი დიმიტრი პესკოვი უარყოფს ამ „ჭორს“: **„ის არათუ ფიზიკურად შეუძლოდ გრძნობს თავს, პირიქით, ხელის ჩამორთმევისას, თითქოს მკლავჭიდში მიწვევს, ისეთი ძალით შემომაგება მარჯვენა, კინაღამ მაჯაში გადამამტვრია“.**

ასე რომ, „გული უნდა დავიმშვიდოთ“. მეტიც, როგორც შვეიცარული გაზეთი Blick იუწყება, შვეიცარიის ქალაქ ლუკანოს კერძო კლინიკაში, რუსეთის პრეზიდენტისა და ოლიმპიური ჩემპიონის, ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევას საერთო ქალიშვილი დაიბადა. თუმცა, არც კლინიკა იძლევა დამადასტურებელ ინფორმაციას და არც კრემლის პრესცენტრია კმაყოფილი უცხოური მედიის სამსახურით, რომელიც მისი თქმით, სპეკულირებისთვის არაფერს ერიდება. დიმიტრი პესკოვი ირონიით მოუწოდებს „ფულიან ხალხს“, მაღალი ჰონორარით დააჯილდოვონ „უცხოური“ თუ „შინაური“ მედია, ასეთი „ზუსტი“ და „ოპერატიული“ ინფორმაციის გავრცელებისთვის. სახელმწიფო ტელევიზიამ კი, ამ დღეებში, რუსეთის პრეზიდენტ პუტინისა და უზენაესი სასამართლოს მმართველი პირის შეხვედრა გააშუქა. ასე რომ, ასეა თუ ისეა, ყველაფერი რიგზეა.

შვეიცარული მედიის მიხედვით. ლელა ჩაჩავა, „ვერსიისთვის“ გერმანიიდან

ავსტრიაში რუსი ძებნილი ქილერი დააკავეს

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, 6 მკვლელობაში ეჭვმიტანილი რუსეთში იქნება ექსტრადირებული

ვენის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რუსეთს გადასცეს დაქირავებული მკვლელი ანატოლი რ. ეროვნებით რუს, რუსეთის მოქალაქე 38 წლის ანატოლის, ბრალად ედება მონაწილეობა „ტრუნოვ ბრიგადაში“, რომელმაც ნოვოსიბირსკის მხარეში 1997-2004 წლებში რამდენიმე მკვლელობა ჩაიდინა. ანატოლი რ-ზე დიდი ხანია საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. ინტერპოლმა 6 მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვენაში დააკავა. ანატოლი რ. ავსტრიაში შეცვლილი სახელითა და გვარით იმყოფებოდა და სამშენებლო ფირმაში მუშაობდა კიდეც.

ანატოლი მოსამართლეს სთხოვდა, არ გაეგზავნათ რუსეთში: **„დარწმუნებული ვარ, რუსეთში ჩავალ თუ არა, მომკლავენ“.** ვის გულისხმობს ანატოლი ამ სიტყვებში, უცნობია.

ლევან ხვედელიძე, „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

ingsgeburten. Diese Quote liegt
onst bei nur einem Prozent

OLG: Sechsfacher Killer wird nach Russland ausgeliefert

Das Oberlandesgericht Wien hat am Dienstag die Auslieferung eines angeblichen Auftragskillers nach Russland genehmigt. Anatoly R. (38) wird vorgeworfen, als Teil der kriminellen „Trunov-Brigade“ im Raum Nowosibirsk von 1997 bis 2004 mehrere Mordanschläge ausgeführt und angeordnet zu haben. 2014 wurde er aufgrund eines internationalen Haftbefehls in Wien gefasst, wo er unter falschem Namen gelebt und bei einer Baufirma gearbeitet hat.

Der Russe bat die Richter, ihn in Österreich zu behalten: „Ich bin mir sicher, wenn ich ausgeliefert werde, werde ich umgebracht.“

Foto: Interpol

In Haft: Anatoly R.

WARTNER®

ბებოს მკვლელი „ქურდბაცაცა ქართველები“ თუ ქართული მაფიის წარუმატებელი ფინალი ევროპაში

რიგორც გაზეთ „ექსპრესის“ ბოლო გამოცემის კრიმინალური გვერდი, ფედერალურ-კრიმინალური პოლიციის მიერ შესწავლილ მასალათა საფუძველზე იუწყება, ქართველ „მაფიოზთა“ მიერ ნაძარცვ მაღაზიათა ზარალი 250 მილიონი ევროა. თუმცა, ფიქსირდება ბინაზე თავდასხმის, ძალადობის, დაყაჩაღების სხვა ფაქტებიც. ერთ-ერთი მათგანი, შემზარავი მკვლელობა, 2013 წლის ივნისით თარიღდება. ნიურნბერგის პოლიციამ, ერთ-ერთ გაძარცულ ბინაში, 85 წლის ხანშიშესული პენსიონერი ქალბატონის ნაწამები და შემდეგ გაგუდული გვამი აღმოაჩინა.

წლების განმავლობაში, ევროპის მასშტაბით, ძებნაში იმყოფებიან ეჭვმიტანილი ბოროტმოქმედნი. ერთი მათგანი, 28 წლის ქართველი გიორგი ღვალაძე დააკავეს. მისი სავარაუდო თანამზრახველი, მისივე თანამემამულე, ნოდარ ძინძიბაძე კი, უკვე სხვა დანაშაულის გამო, დიდი ხანია ფლორენციის ციხეში იხდის სასჯელს. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ეს ორი ქართველი „მაფიოზ შემსრულებელი“ იმ დიდი ჯგუფის, „ქართული მაფიის“ წევრია, რომელთაც გერმანიის, იტალიის, შვეიცარიის, ევროპის რიგ ქვეყანათა ფარგლებში ერგოთ წილად სათარეშო ასპარეზი. მათ ბრალად ედებათ მაღაზიათა, ოჯახთა ქონების ძარცვა-დაყაჩაღება.

როგორც ირკვევა, ისინი არა მხოლოდ „ქურდბაცაცა ქართველების“ სახელს დასჯერდნენ — სამწუხაროდ, მათი ქმედება სისასტიკისა და შემზარავი მკვლელობის მაგალითად იქცა.

გაზეთ „ექსპრესის“ მიხედვით
ლელა ჩაჩავა, „ვერსიისთვის“ გერმანიიდან

ვენაში, სოციალურ ქსელში აჭვირთული ჩეჩენის ფოტოს გამო, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული

Was brauch ich? Im Video kommen nur ungefährliche Dinge in den Demo-Rucksack.

Tschetschene fährt mit Kalaschnikow herum

Riesenaufregung auf Facebook: Ein mutmaßlicher Tschetschene prahlt mit seinen Waffen, gibt an, mit seiner Kalaschnikow spazieren zu fahren. Auf seiner Pinnwand postete er ein Bild mit den Worten: „Mit meinem Baby durch die Stadt cruisen!“

Laut der Website „erstaunlich.at“ gibt der Poster als Wohnort Wien an, scheint viel in diversen Online-Communitys unterwegs zu sein. So postete er auch Kommentare auf diversen tschetschenischen Seiten, rund um den Anschlag auf Charlie Hebdo schreibt er: „Wenn wir zurücktöten, dann betteln sie uns an wie Köter!“

Auf „*Heute*“-Anfrage reagierte die Polizei sofort, leitete die Infos an das Landesamt für Verfassungsschutz weiter. Die Ermittlungen laufen.

Dieses Bild sorgt für Aufregung.

ბოლო წლების განმავლობაში ჩეჩნები ლიდერობენ გაზეთის კრიმინალურ ან ტერორისტულ სტატისტიკაში. ბევრი სტატია იბეჭდება მათ სახელზე, მათგან გამორჩეულის შესახებ კი, ამჯერად გიამბობთ — სოციალურ ქსელ Facebook-ში გამოქვეყნებულმა სურათმა დიდი აჟიოტაჟი და მღელვარება გამოიწვია და მას შესაბამისი რეაგირებაც მოჰყვა.

ავსტრიულ გაზეთში კი დაიბეჭდა სტატია, სახელწოდებით: **„ჩეჩენი მანქანით თავის კალაშნიკოვთან ერთად მოძრაობს“.**

ვნებათაღელვა, სურათთან ერთად, მოყვა სტატუსსაც, რომელიც ჩეჩენმა ინტერნეტკედელზე გამოაქვეყნა: „კრუიზი ქალაქში ჩემს პატარასთან ერთად“. სიტყვაში „პატარა“ იგი თავის შვილს გულისხმობს, საცხოვრებელ ადგილად კი, ავსტრიის დედაქალაქი ვენა აქვს მითითებული. სხვადასხვა ჩეჩნურ საიტზე მან გამოაქვეყნა კომენტარი საფრანგეთში მომხდარ შარლი ებდოს ტერაქტთან დაკავშირებით: **„როცა ჩვენ მათ საპასუხოდ ვხოცავთ, ისინი სიცოცხლის შენარჩუნებას ისე გვეხვეწებიან, როგორც მაწანწალა ძაღლები“.**

ჩეჩენის შესახებ გაზეთში სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ავსტრიის პოლიციამ და შესაბამისმა სტრუქტურებმა გამოძიება დაიწყეს. სიახლეების შესახებ, „ვერსია“ ინფორმაციას მომავალშიც აუცილებლად მოგაწვდით.

ლევან ხვედელიძე, „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან



1. ერთ-ერთი სახარების ავტორი
2. შეწეული სტრიქონი ტექსტში
3. დიდი პოლონელი ასტრონომი
4. ანტონიო ბანდერასის კინოროლი
5. ხელოვნური ბოჭკო
6. სამხედრო გემების დიდი შენაერთი
7. მალავის დედაქალაქი
8. იგივეა, რაც მამითადი
9. დაბა სიღნაღის რაიონში
10. ვაზის დაავადება, იგივე ნაცარი
11. ინის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფიაში
12. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში
13. ფიგურული ფრჩხილი მუსიკაში
14. ღმერთის ერთ-ერთი სახელი ბიბლიაში
15. მთა წალკის რაიონში
16. ორი ორგანიზმის თანაცხოვრება
17. მუსიკალური გამის VII ნოტი
18. ფულის ერთეული სერბეთში
19. სკან-დინავიელთა უზენაესი ღმერთი
20. ცხენის კისრის დასასრული ბეჭედთან
21. საპერძნეთის პოლიტიკური პოლიცია
22. მეფე ლირის ერთ-ერთი ასული
23. ლიონელ მესის შინაურული სახელი
24. მოპაექრე, მოწინააღმდეგე კამათში
25. ამერიკელი კინორეჟისორი
26. სუბტროპიკული ხილი
27. ოიდიპოსის მამა
28. ტვირთმზიდავი ხარი
29. სოფელი ცაგერის რაიონში
30. დონ-კიხოტის მეგობარე სანჩო ...
31. ქულა ძიუდოში
32. პოლიტიკოსის ფორმირებული სახე
33. ძროხის ნაშიერი
34. პატარა კენგურუ
35. საზოგადოების რჩეული ნაწილი
36. სახელმწიფო სან-... დაპრინსიპი
37. ინერტული აირი
38. შვეიცარიელთა ეროვნული გმირი
39. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
40. თავდავიწყების მდინარე
41. გალახის ჩრდილი
42. ნახევრად ძვირფასი ქვა
43. სირაქლემას სახეობა
44. ნაპოლეონის მარშალი
45. ცხენოსნის წკეპლა ერთგვარი
46. ისტორიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში
47. ოდიოზური ამერიკული მილიარდერი
48. პარკოსანი მცენარე
49. პატარა ელექტრორგანი
50. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
51. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
52. ჩოგბურთელი ... სამარასი
53. მდინარე იტალიაში
54. ნაპოლეონის პირადი მხატვარი
55. გამაგრილებელი გაზიანი სასმელი
56. რუსული ხალხური თქმულება
57. ატომბირთვის ნაწილაკი
58. კიმონოს შესაკრავი ქამარი
59. პირველი პირის ნაცვალსახელი
60. ტექნიკური ზეთი
61. ალ. სალექსო ფორმა
62. ჰერას ასული

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

			2					5
7							3	
1	5			4		6		8
		1	6					4
	7						5	
5					1	2		
2		6		8			4	3
	8							6
9					7			

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

							3	
6					2	1		
	2			4	8	7	6	
5	3							
	7	2	5		6	3	4	
							2	9
	9	5	1	7			8	
		8	2					4
	1							

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5	4	8			2		
				6				
	9	8			4			
		3	7	9				5
2				8	3	4		
			9			1	7	
				7				
		5			1	3	2	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				2		1		8
		3			9		7	
							4	3
	6	4						7
9	5		4		6		8	2
7						5	6	
3	8							
	2		8			7		
5		6		3				

ყველაზე ძვირფასი ნაყინი

არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, მდებარე ერთ-ერთი კაფეს მენიუში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ნაყინი გაჩნდა, რომელსაც „შავი ბრილიანტი“ უწოდეს — ამ ცივი დესერტის ერთი ბურთულის ღირებულება 816 დოლარია, რეცეპტზე კი საუკეთესო კონდიტერები ერთ თვეზე მეტ ხანს მუშაობდნენ და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საუკეთესო ინგრედიენტები შეარჩიეს. ამ ძვირფას ტკბილეულში შედის ვანილი მადაგასკარიდან, ირანული შაფრანი, იტალიური ტრუფელი და ყველაზე სუფთა, საკვებად ვარგისი ოქრო. გარდა ამისა, ნაყინის ულუფას კაფეს კლიენტი „ვერსაჩეს“ ბრენდის ფინჯნით მიიღებს, რომელიც შემდეგ, შეუძლია, შინ წაიღოს.

ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში გაძარცვეს

სამხრეთაფრიკული ტელეკომპანია SABC-ის ჟურნალისტი ვუიო მვოკო პირდაპირ ეთერში ჩართვისას დააყაჩაღეს. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როცა კორესპონდენტს რეპორტაჟი მიჰყავდა ერთ-ერთი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან. ამ დროს მასთან ორი შეიარაღებული მამაკაცი მივიდა და მობილური ტელეფონი მოსთხოვა. ირაღის მუქარის შემდეგ, ჟურნალისტი იძულებული გახდა, მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. სამხრეთ აფრიკის რედაქტორების ასოციაციაში მკაცრად გააკრიტიტეს მომხდარი და აღნიშნეს, რომ მძარცველები და მათი საქმიანობა უკვე დიდი ხანია, ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა, მაგრამ აქამდე ჯერ არავის გაუბედავს, ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში დაეყაჩაღებინა. პოლიციის წარმომადგენლები ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეტებენ.

ვაშლი და პომიდორი ერთად

შვეიცარელმა მებაღემ, მარკუს კობერტმა სელექციაში დიდ წარმატებას მიაღწია — მან ვაშლისა და პომიდვრის შეჯვარება მოახერხა. შედეგად გამოიყვანა ვაშლის ახალი ჯიში, რომელსაც წითელი და წვნიანი რბილობი აქვს. ფერითა და ფაქტურით, ახალი ხილ-ბაღჩეული უფრო პომიდორს ჰგავს, მაგრამ ჩვეულებრივ, ვაშლის ხეზე იზრდება. როგორც მისი დამგემოვნებლები აღნიშნავენ, ნაყოფს სასიამოვნო გემო აქვს ტყის კენკროვნების მსუბუქი არომატით. გარდა ამისა, თერმული დამუშავების დროსაც კი არ კარგავს წითელ ფერს, დაჭრილი არ იცვლის ფერს, არ შავდება და სალათებში წარმატებით იყენებენ. ასევე გამოირჩევა ანტიდამჟანგავი ნივთიერებების მაღალი შემცველობით. აღსანიშნავია, რომ სელექციონერი ამ ჯიშის გამოყვანაზე 20 წელი მუშაობდა. ახალი ჯიშის პირველი ნერგები, რომელსაც Redlove უწოდეს, უკვე იყიდება ნისლიან ალბიონზე და მასზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა.

კვერცხი მეხსიერებას აუმჯობესებს

სწავლულების ბოლოდროინდელი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კვერცხი მხოლოდ იოლად მოსამზადებელი, სასარგებლო და ნოყიერი საუზმე არ არის. კვერცხს უამრავი დადებითი თვისება აქვს — შეიცავს სხვადასხვა ჯგუფის ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, არეგულირებს ფოსფორის დონეს ორგანიზმში. ყველამ იცის, რომ ნაჭუჭი მდიდარია კალციით, ამაგრებს ძვლებსა და კბილებს. კვერცხი სასარგებლოა გულისა და მხედველობისთვის, იცავს ონკოლოგირი დაავადებების განვითარებისგან. ცოტა ხნის წინ კი მისი ახალი თვისება აღმოაჩინეს — ტაფტსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ამ პროდუქტის რეგულარული მოხმარება მეხსიერებას აუმჯობესებს, აფერხებს ტვინის დაბერების პროცესს და იცავს ასაკობრივი ჭკუასუსტობისგან. სწავლულთა ექსპერიმენტი ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მოხალისეების ნახევარი ყოველდღე მიირთმევდა ქათმის ორ კვერცხს, დანარჩენების მენიუ კი კვერცხის გარეშე იყო. კვლევების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ექსპერიმენტის მონაწილეებმა ტესტინ ჩააბარეს. აღმოჩნდა, რომ კვერცხის მჭამელები ყველა მაჩვენებლით უსწრებდნენ დანარჩენებს. კვერცსის სასიკეთო გავლენას თავის ტვინზე მეცნიერები მასში შემავალი ანტიოქსიდანტებით — ლუტეინითა და ზეაკსანტინით ხსნიან. ეს ნივთიერებები პოზიტიურ გავლენას ახდენს ადამიანის ინტლექტსა და მეხსიერებაზე.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	2	6	9	5	1	8	7
1	7	9	2	4	8	6	5	3
8	6	5	3	1	7	9	4	2
6	2	4	1	8	3	7	9	5
9	5	3	7	2	6	8	1	4
7	1	8	9	5	4	2	3	6
5	9	1	4	7	2	3	6	8
3	4	7	8	6	1	5	2	9
2	8	6	5	3	9	4	7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	5	6	4	3	2	1	9	8
2	1	8	9	5	7	3	6	4
4	3	9	6	8	1	2	5	7
9	8	2	7	1	3	5	4	6
6	4	5	2	9	8	7	3	1
3	7	1	5	6	4	9	8	2
8	2	4	3	7	9	6	1	5
5	9	7	1	4	6	8	2	3
1	6	3	8	2	5	4	7	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	2	1	7	5	6	3	9	8
9	6	8	2	4	3	5	1	7
7	5	3	8	1	9	4	2	6
8	9	7	6	3	5	2	4	1
6	4	5	1	2	8	9	7	3
3	1	2	9	7	4	8	6	5
5	3	6	4	9	7	1	8	2
2	8	4	5	6	1	7	3	9
1	7	9	3	8	2	6	5	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	5	1	3	6	8	2	9	7
9	8	7	5	4	2	1	6	3
6	3	2	1	7	9	5	4	8
8	1	9	7	5	6	4	3	2
3	7	6	8	2	4	9	5	1
2	4	5	9	3	1	8	7	6
7	2	4	6	1	5	3	8	9
1	9	3	4	8	7	6	2	5
5	6	8	2	9	3	7	1	4

მე-10 გვერდი: 1. ტაქტიკა; 2. ალაჰი; 3. ტოკიო;; 4. კოჭა; 5. სეპტეტი; 6. ეპიდემია; 7. ტილჭირი; 8. ტოგა; 9. პარკუჭი; 10. ფარიკაობა; 11. სეინერი; 12. სოციალიზმი; 13. დიალოგი; 14. ლაგერლოფი; 15. აკრიბია; 16. ამარეტო; 17. სოფია; 18. ელია; 19. მაკრამე; 20. ასფალტი; 21. ექო; 22. ნაირა; 23. კასაცია; 24. არნო; 25. რიგი; 26. „ფორდი“; 27. ნაირა; 28. კაიმანი; 29. სემინარი; 30. ცური; 31. ანი; 32. ეა; 33. არია; 34. „იუმორინა“; 35. რაბლე; 36. „ლაკმე; 37. მალარია; 38. ლანოლინი; 39. რაეო; 40. მაიორი; 41. ინია; 42. ალი; 43. ინოზიტი; 44. აბა; 45. ამაგი; 46. „ოფი“; 47. ტივი; 48. ორატორი; 49. ატა; 50. „მიმინო“; 51. კიგალი; 52. ულანი; 53. ალან; 54. მის; 55. აიმაკი; 56. ფლორა; 57. იდო; 58. მელვილი.

მე-12 გვერდი: 1. არხარი; 2. რენესანსი; 3. ამფიტრიტე; 4. ბიზონი; 5. იორდასალამი; 6. ოქსინო; 7. შნაფსი; 8. იარისი; 9. მატისი; 10. პრესლი; 11. ზიკურათი; 12. ბანზაი; 13. აარე; 14. მძივი; 15. სიო; 16. არმადა; 17. კაი; 18. აბრისი; 19. სიტე; 20. ედირნე; 21. ლუარა; 22. მესია; 23. აგნი; 24. რალი; 25. ქათამი; 26. ამბიცია; 27. ნიელო; 28. მედეა; 29. ინდაური; 30. გაზაფხული; 31. ტუია; 32. ლიმიტი; 33. ისანი; 34. აირი; 35. ზადენი; 36. თიმფუ; 37. „ფოლკსვაგენი“; 38. არალი; 39. არტო; 40. ოლე; 41. დნეპრი; 42. ფიურერი; 43. სავარცხელი; 44. ფასი; 45. ლორდი; 46. იღუმენი; 47. „რეალი“; 48. რახი; 49. არღუნი; 50. ეროს; 51. ლევილი; 52. ანიკო; 53. აპლომბი; 54. ლეკალო; 55. სბირი; 56. ნაირა; 57. ლუესი; 58. ვიაგრა; 59. შტაბი; 60. ქამი; 61. დოგი; 62. ხმა; 63. პერი; 64. ურა; 65. ელამი; 66. პოპკორნი; 67. „კია“; 68. ტაქსა; 69. ედა; 70. ლია; 71. არიცია; 72. ტინქტურა; 73. ორმო; 74. მაცა; 75. შუ; 76. ეკლოგა; 77. სამაია; 78. აბუ; 79. იაგდტაში; 80. იგრიკა.

1. განმარხებული ქვეწარმავალი, მფრინავი ხვლიკი
2. ბანქოს თამაშის სახეობა
3. უცაბედი გარდაქმნა, მოულოდნელი მოვლენა
4. კრემიანი ნამცხვარი
5. ბერძნული ანბანის ბოლო ასო
6.ნოტების დასადები დახრილი ფიცარი
7.მრავალწახნაგის ფორმის ნაწილაკი
8. უკრაინის პარლამენტი
9. ძველბერძნული ქალაქი-სახელმწიფო
10. პანიკის გამავრცელებელი ადამიანი
11.მე-18ს-ის შვეიცარიელი მათემატიკოსი
12.„დორიან გრეის პორტრეტის“ ავტორი
13. ძველბერძენი ფილოსოფოსი
14. პირამიდების დარაჯი
15. ცხვრების ჯოგი
16. თბილისის ერთ-ერთი უბანი
17. ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი
18. აშშ-ის შტატი
19.საშმლის შესაწვავი ჭურჭელი
20.მაღალხარისხოვანი წმინდა ქერა
21.ურჩხული შოტლანდიის ტბაში
22. ბასკ ტერორისტთა ორგანიზაცია
23. მსუბუქი თვლემა
24.ქართლის სახელწოდება ანტიკურ წყაროებში
25. ფრანგული ავტომარკა
26.მამაკაცის გერმანული სახელი
27. „პითლზის“ წევრი რინგო ...
28. რიგის საფეხბურთო კლუბი
29. ოქროს ურდოს სარდალი
30.ესპანური ცეკვა, კორიდის იმიტაცია
31. პოლიციელი საფრანგეთში
32. შიკრიკი ძველ ქართულში
33. ბეთჰოვენის „მთვარის ...“
34. ახალი ზელანდიის დედაქალაქი
35.ქართული ხალხური სალექსო ფორმა
36.შვედური ავტომარკა
37.ცხვირის ხვრელი
38. ზრდილობ. დასტურის გამომხატველი სიტყვა
39. პურის მცხობელი
40. თიანის ტყვე, გარკვეული წესით გამოყვანილი
41.უტოტო ხე
42.ნიმფა კალიფსოს კუნძული
43. დიდი თეფში
44. ერთეულოვანი ვექტორი
45.ნახევარკუნძული ცენტრალურ ამერიკაში
46. ყოველთვის, მარად
47. თევზის ძვალი
48. წყალქვეშა კლდე
49.ინდიელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
50. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
51.ინგლ. ასტრ., პერიოდული კომეტის აღმოჩენი
52.თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
53.ყველაზე სწრაფად-მზარდი ბალახი
54. ქართული ხალხური ზღაპარი
55. ქსოვილებში ჟანგბადის არარსებობა
56. ხალხმრავალი ადგილების შიში
57. უკრაინელი მომღერალი ქალი
58. ქალის თავსაბურავი, რომელიც სახეს ფარავს
59. ოთახის დეკორატიული მცენარე
60. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
61.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
62. შაკანიანი ადამიანი
63. გაზაფხულის ყვავილი
64. ინდიელთა ტომი
65. სვეტებიანი გალერეა
66. საშობაო სიმღერა
67. დაწესებულება მიზანში სროლისათვის
68. წამლის ბურთულა
69.მოულოდნელი შემოწმება
70.ანტილოპას სახეობა
71. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
72. სათევზაო მოწყობილობა
73.იატაკის მოსაპრიალებელი საცხი
74.ჩარლი ჩაპლინის ბოლო მეუღლე
75. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
76. საგანთა ნუსხა
77. მარადიული ქალაქი
78. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
79. მუსიკალური გამის III ნოტი
80. მარცვლოვანი მცენარე
81. მზის ამოსვლა. განთიადი
82.მაგიდა ეკლესიაში ლოცვის წიგნების დასადებად
83. ელექტროდენის წინაღობის ერთეული
84. შხამიანი გომბეშო



ნივთიერებათა ცვლაზე „ტატუ“ მოგანვდით ინფორმაციას

კანადელმა მეცნიერებმა სპეციალური სენსორები შექმნეს, რომელთა დახმარებითაც ნივთიერებათა ცვლის რეგულირებაა შესაძლებელი. სენსორი გარეგნულად დროებით ტატუირებას ჰგავს და სხეულზე იმავე პრინციპით მაგრდება. მოწყობილობის დიზაინი ისეა შემუშავებული, ელეგანტური, დახვეწილი და მოქნილიც ყოფილიყო და თან მაქსიმალურად დაეფარა ელექტროდები. ამ გამოგონებას შეუძლია ადამიანს სიგნალი მიაწოდოს, როცა ორგანიზმი ძლიერ გამოიფიტა ან გადაღლილია. ის განსაკუთრებით სასარგებლოა იმ დაავადებების დიაგნოსტიკისთვის, რომელიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევითაა გამოწვეული. მოწყობილობის გამოყენება სპორტსმენებსაც წაადგებათ ვარჯიშისა და შეჯიბრებისას, კოსმეტოლოგიაში კი მას კანის სეკრეციის გამოსაკვლევად გამოიყენებენ. ადრე არსებული სენსორები გაცილებით დიდი ზომის იყო და კანზე მიწებებაც შეუძლებელი ხდებოდა. ახალი გამოგონება კი ნორმალურად მუშაობს იმ დროსაც, როცა ადამიანი აქტიური ფიზიკური ვარჯიშითაა დაკავებული.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.